




საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და  
ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

# მწვანე ბიუჯეტის პროექტი

თბილისი  
2021



 ავსტრიის  
განვითარების  
თანამშრომლობა

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ინიციატივით. დოკუმენტზე მუშაობა მიმდინარეობდა პროექტის - *ტყის მდგრადი მართვა სოფლის განვითარებისათვის* მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება CENN-ის მიერ, *ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის / Austrian Development Cooperation* დაფინანსებით, პარლამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციის თვალსაზრისს.

მწვანე ბიუჯეტის პროექტის დოკუმენტის მოსამზადებლად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობა განისაზღვრა პარლამენტის წევრებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებითა და შესაბამისი დარგის სპეციალისტებით.

## სამუშაო ჯგუფი:

**ნინო წილოსანი** | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე

**ენძელა მაჭავარიანი** | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**გიორგი გაჩეჩილაძე** | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი

**ზაზა ხუციშვილი** | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი

**დენის სალუქვაძე** | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი

**რევაზ აბაშიძე** | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის აპარატის მონვეული სპეციალისტი

**თამარ ზედგინიძე** | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტის უფროსი

**კარლო ამირგულაშვილი** | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი

**რევაზ გეთიაშვილი** | CENN-ის გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინატორი

**თამარ იაკობიძე** | CENN-ის მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი

**გიორგი მუხიგულიშვილი** | WEG-ის უფროსი მკვლევარი

**დავით დარსაველიძე** | მწვანე ეკონომიკის მკვლევარი

**გია კოლბინი** | GIZ-ის უფროსი მრჩეველი

**კახა მდივანი** | REC-ის კლიმატის ცვლილების პროექტის მთავარი ტექნიკური მრჩეველი

**ილია ოქრომელიძე** | საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

**მარინე ქავთარიშვილი** | დამოუკიდებელი ექსპერტი

**ხათუნა გოგალაძე** | GEO-ს დამფუძნებელი/პროგრამის დირექტორი

## **ანგარიშზე მუშაობდნენ:**

### **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი**

ნინო წილოსანი, დენის სალუქვაძე, გიორგი ფანცხავა, რევაზ აბაშიძე

### **კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)**

რევაზ გეთიაშვილი, ნინო შავგულიძე, გიორგი ჩაკვეტაძე (მონვეული ექსპერტი), გიორგი მუხიგულიშვილი (მონვეული ექსპერტი), დავით დარსაველიძე (მონვეული ექსპერტი), თამარ ცხადაძე (მონვეული ექსპერტი), ნინო ჯავახიშვილი (მონვეული ექსპერტი), თამარ იაკობიძე

### **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

კარლო ამირგულაშვილი

### **კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus)**

კახა მდივანი

### **საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია**

ილია ოქრომელიძე

### **სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი**

თამარ ალადაშვილი

### **საკონტაქტო ინფორმაცია**

რუსთაველის გამზირი

8 0114, თბილისი

(+995 32) 2 28 15 09

garemo@parliament.ge

# სარჩევი

|  |    |
|--|----|
| აბრევიატურები .....  | 5  |
| <b>მწვანე ბიუჯეტის პროექტი</b> .....   | 6  |
| დოკუმენტის მიზანი .....  | 6  |
| მიდგომა და შეზღუდვები .....  | 6  |
| კორონავირუსის პანდემიით (COVID-19) გამოწვეული ცვლილებები.....  | 7  |
| <b>რა არის მწვანე ბიუჯეტი</b> .....  | 10 |
| OECD-ის ჩარჩო მწვანე ბიუჯეტირებისთვის: ძირითადი პრინციპები .....   | 12 |
| <b>სახელმწიფო ბიუჯეტის მწვანე ანალიზი</b> .....  | 14 |
| ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD).....   | 14 |
| საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები .....   | 15 |
| ბიუჯეტის კანონი და შესრულების წლიური ანგარიში .....  | 16 |
| პროგრამული ბიუჯეტის დანართი.....   | 18 |
| მწვანე ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპები.....                                      | 18 |
| რეკომენდაციები .....   | 20 |
| <b>საქართველოს გარემოსდაცვითი პრიორიტეტები</b> .....   | 21 |
| საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა.....                                     | 21 |
| საერთაშორისო გარემოსდაცვითი ვალდებულებები.....   | 22 |
| გარემოსდაცვითი მმართველობა .....   | 24 |
| გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი და გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვა .....                              | 25 |
| საერთაშორისო თანამშრომლობა და მხარდაჭერა.....  | 26 |
| გარემოსდაცვითი რესურსდაზოგვადი და სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება .....                                   | 27 |
| <b>დარგობრივი და უწყებათშორისი პრიორიტეტები</b> .....  | 29 |
| საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წწ. სტრატეგია და<br>სამოქმედო გეგმა..... | 29 |
| ენერგეტიკის სექტორი .....  | 32 |
| ეკოტურიზმი.....  | 35 |
| მწვანე ბიზნესი .....   | 39 |
| გარემოსდაცვითი განათლება .....   | 40 |
| მწვანე შესყიდვები.....   | 41 |
| კლიმატის ცვლილება .....  | 42 |
| <b>ახალი საკანონმდებლო ინიციატივები</b> .....  | 44 |
| გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.....  | 44 |
| ბუნებრივი საფრთხეებით/სტიქიური მოვლენებით გამოწვეული კატასტროფების მართვა.....                           | 44 |
| მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვა.....  | 47 |
| კანონი აკვაკულტურის შესახებ .....  | 52 |
| საქართველოს ტყის კოდექსი.....  | 53 |
| <b>მწვანე ბიუჯეტის გენდერული განზომილება</b> .....   | 55 |

# აბრევიატურები

**APA** - დაცული ტერიტორიების სააგენტო

**ARDA** - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

**BAU** - ბიზნესის უკვე ოპერირებადი მოდელი

**BDD** - ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი

**CENN** - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

**CITES** - კონვენცია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ

**COVID-19** - კორონავირუსის პანდემია

**DCFTA** - ევროკავშირთან ასოცირებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება

**DMO** - დანიშნულების მართვის ორგანიზაციები

**DRR** - ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება

**EBRD** – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

**ENPARD** - ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა

**EU** - ევროკავშირი

**GCF** - კლიმატის მწვანე ფონდი

**KfW** – გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი

**MEPA** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

**MoESD** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

**MOF** - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**MoRDI** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**NACE** - ეკონომიკური აქტივობების სტატისტიკური კლასიფიკაცია ევროპულ თანამეგობრობაში

**NEAP** - საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა

**NFA** - სურსათის ეროვნული სააგენტო

**OECD** - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

**PET** - პოლიეთილენ-ტერეფტალატი

**SARS** - მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი

**SDC** - შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო

**SDGs** - გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები

**SMS** - მოკლე ტექსტური შეტყობინება

**UNDP** - გაეროს განვითარების პროგრამა

**USAID** - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

**გზმ** - გარემოზე ზემოქმედების შეფასება

**მსაშს** - მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული შეტყობინების სისტემა

**მშპ** - მთლიანი შიდა პროდუქტი

**შსს** - შინაგან საქმეთა სამინისტრო

# მწვანე ბიუჯეტის პროექტი

## დოკუმენტის მიზანი

1. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2020 წლის სამოქმედო გეგმით გაიწერა „მწვანე ბიუჯეტის პროექტის“ განხორციელება.
2. 2020 წლის 11 მარტის კომიტეტის სხდომაზე, თავმჯდომარის - ნინო წილოსანის ინიციატივითა და ორგანიზაცია CENN-ის მხარდაჭერით, კომიტეტის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა „მწვანე ბიუჯეტის პროექტის“ სამუშაო ჯგუფი<sup>1</sup>, პარლამენტის წევრების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტების შემადგენლობით.
3. „მწვანე ბიუჯეტის პროექტის“ დოკუმენტი მომზადებულია სამუშაო ჯგუფის მიერ. დოკუმენტი ახდენს გამოწვევების იდენტიფიცირებას გარემოსდაცვითი პროგრამების დაფინანსების მიმართულებით და მიზნად ისახავს ეფექტიანი საპარლამენტო საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბებას. დოკუმენტში გაანალიზებულია სახელმწიფო გარემოსდაცვითი ფუნქციების განხორციელების შედეგები, განსაზღვრულია საბიუჯეტო პრიორიტეტები და ამის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები 2021-2024 წლების საბიუჯეტო პროცესისთვის.
4. „მწვანე ბიუჯეტის პროექტი“ პირველი სახელმძღვანელო დოკუმენტია საქართველოს პარლამენტისთვის, რომელიც აფასებს დარგობრივი და დარგთაშორისი გარემოსდაცვითი სისტემებისა და ახალი საკანონმდებლო ინიციატივების ფისკალურ პოლიტიკას და ადგენს დარგში განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების ბიუჯეტირების ეფექტიანობას.
5. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, პროცესი განხორციელებულია ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით, რაც გულისხმობს დაინტერესებული მხარეებისა და მოწვეული ექსპერტების მონაწილეობას პროექტის განხორციელების საწყისი ეტაპიდან.

## მიდგომა და შეზღუდვები

6. სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად, დარგში არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ხედვა და რეკომენდაციები, რაც ხელს უწყობს 2021-2024 წლებისთვის დარგობრივი პოლიტიკისა და საბიუჯეტო რესურსების დაგეგმვას გარემოსდაცვითი მიმართულებით. ამ მიზნით, დოკუმენტის მომზადების ფარგლებში გაანალიზდა ინფორმაცია 2019 წლის ბიუჯეტის გარემოსდაცვითი ასპექტების შესახებ და განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები ბიუჯეტის მოკლე და საშუალოვადიანი დაგეგმვისთვის.

<sup>1</sup> საქართველოს პარლამენტი, „მწვანე ბიუჯეტის პროექტი“, სამუშაო ჯგუფი.  
<http://parliament.ge/ge/saparlameto-saqmianoba/komitetebi/garemos-dacvisa-da-bunibrivi-resursebis-komiteti/w-groups/mwvane-biudjetis-proehti-samushao-djgufi>

7. შეფასების ნაწილში აქცენტი გაკეთდა უფლებამოსილი უწყებების სტრუქტურული და ფინანსური მდგომარეობის შესაბამისობაზე მათზე დაკისრებულ მოვალეობებთან, როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაფინანსების კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ახალი საკანონმდებლო ინიციატივების ბიუჯეტირებაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იყო „საქართველოს ტყის კოდექსით“, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“, „ნარჩენების მართვის კოდექსით“ დაკისრებული ინსტიტუციური ვალდებულებების ანალიზი, სამომავლო ბიუჯეტირების მიზნით.
8. სამუშაო ჯგუფმა ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ და „აკვაკულტურის შესახებ“ მისაღები ახალი კანონების გაანალიზება დარგობრივი უწყებების მზაობის შესაფასებლად, ახალი სახელმწიფო ვალდებულებების შესასრულებლად.
9. დოკუმენტი გარკვეულწილად სცდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციებს და მოიცავს სხვა უწყებრივ თუ უწყებათშორის პრიორიტეტებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამით (NEAP). ინტერსექტორული საკითხებიდან ცალკე მიმართულებებად ჩამოყალიბდა ენერგოეფექტიანობა და მწვანე ენერჯეტიკა, მწვანე ბიზნესი, ეკოტურიზმი და გარემოსდაცვითი განათლება.
10. პროცესის ფარგლებში მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტის სრული გაანალიზება; კერძოდ, შეფასდა ბიუჯეტისა და ბიუჯეტის პროგრამული დანართის გარემოსდაცვითი ასპექტები, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) და შესაბამისი დარგობრივი უწყებების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები. ანალიზმა მოიცვა აგრეთვე გარემოსდაცვითი ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და ანგარიშგების (საბიუჯეტო პროცესის) არსებული მიდგომები და ინსტრუმენტები.
11. სამუშაო ჯგუფმა კომიტეტისთვის შეიმუშავა მოცემული სახელმძღვანელო დოკუმენტი 2021-2024 წლების ბიუჯეტის განხილვისთვის და გაიცა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები სახელმწიფოს მიერ გაცხადებული გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი საბიუჯეტო და ფისკალური პოლიტიკის შესახებ.

## კორონავირუსის პანდემიით (COVID-19) გამოწვეული ცვლილებები

12. კორონავირუსის პანდემიით (COVID-19) გამოწვეულმა ეკონომიკურმა რეცესიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე, რაც ასევე აისახა ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯით ნაწილებზე. ამასთან, დაწესებული შეზღუდვების შედეგად შემცირებული ეკონომიკური აქტივობის გამო, პანდემიასთან გამკლავებასთან ერთად საჭირო გახდა რიგი გაუთვალისწინებელი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით მთავრობამ შეიმუშავა ანტიკრიზისული გეგმა.
13. მოსალოდნელი დანაკლისებისა და გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად საჭირო გახდა დამატებით საგარეო საკრედიტო რესურსების მობილიზება

და თავდაპირველად დაგეგმილი 2020 წლის ბიუჯეტის კორექტირება. შედეგად, ივნისში 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია რეალური მშპ-ის შემცირება 4%-ით, შემოსავლების შემცირება დაახლოებით 1.7 მლრდ ლარით, მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირება 600 მლნ ლარამდე ოდენობით და მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად 3.4 მლრდ ლარის ოდენობის რესურსის მოძიება.

14. რაც შეეხება უშუალოდ საბიუჯეტო აგრეგატებს, მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო შემოსავლები 1,486 მლნ ლარით მცირდება, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი 3,866 მლნ ლარით იზრდება და 18,420 მლნ ლარს უტოლდება. აღნიშნული ზრდა დაკავშირებულია დეფიციტის დასაფინანსებლად დამატებითი ვალის აღებასთან. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი კი, ჯამში, იზრდება 1,491 მლნ ლარით და 15,924 მლნ ლარს შეადგენს. გადასახდელების ზრდა ძირითადად პანდემიის შედეგად გაზრდილი სოციალური დანახარჯებითაა გამოწვეული, რამაც „ხარჯების“ მუხლის 1,710 მლნ ლარით მატება გამოიწვია.
15. პანდემიასთან გამკლავებისთვის გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო დამატებითი ხარჯების გამოყოფის პარალელურად, თავდაპირველი ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი რესურსები შემცირდა 547 მლნ ლარით. მნიშვნელოვნად შეიზღუდა მიმდინარე ხარჯები. ასევე იზღუდება კულტურული, სპორტული, ტურიზმის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები და ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული კაპიტალური პროექტები.
16. რაც შეეხება ცვლილებებს სამინისტროებისა და სხვა მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, 55-დან 27-ს დაფინანსება შეუმცირდა, 3-ს კი გაეზარდა. აქედან შემცირება შეეხო 7 სამინისტროს, ჯამურად - 479 მლნ ლარის ოდენობით, 3 სამინისტროს კი გაეზარდა სახსრები, ჯამში, 1,734 მლნ ლარით. ყველაზე მეტად დაფინანსება შეუმცირდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (251 მლნ ლარით) და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (128 მლნ ლარით).
17. დაფინანსების ზრდა ეხება პანდემიის შედეგად გამოწვეული დამატებითი ხარჯების დაფინანსებას და ძირითადად მიემართება ჯანდაცვის სამინისტროს „მოსახლეობის სოციალური დაცვის“ (836 მლნ ლარი) და „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის“ (238 მლნ ლარი) პროგრამებსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მენარმეობის განვითარების“ (419 მლნ ლარი) პროგრამაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის სამინისტროს, პანდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის გამოყოფილი სახსრების გამოკლებით, ასიგნებები უმცირდება 26.6 მლნ ლარით, თუმცა ამავდროულად 10 მლნ ლარით იზრდება ენგურისა და ვარდნილის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტის დაფინანსება.
18. ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომლის ასიგნებებიც, პანდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის გამოყოფილი 139 მლნ ლარის გამოკლებით, 15.1 მლნ ლარით შემცირდა.
19. საყურადღებოა, რომ ბიუჯეტის კანონის ცვლილების შედეგად, რესურსები შემცირდა სამინისტროს გარემოსდაცვითი კომპეტენციის ნაწილში პროგრამების უმეტესობისთვის, რამაც, ჯამში, 11 მლნ ლარი და პროგრამებისთვის თავდაპირველად გამოყოფილი რესურსების 14.2% შეადგინა. ყველაზე დიდი ცვლილება შეეხო „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის“ პროგრამას, სადაც შემცირებული თანხის ოდენობამ 4.5 მლნ ლარი შეადგინა.



20. აღნიშნული ცვლილებები გარკვეულწილად შეანელებს სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტებით - საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამითა (NEAP) და სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მიმდინარე წლის შედეგების მიღწევას, ვინაიდან სტრატეგიის მიზნების განხორციელებისთვის სამინისტროს რესურსები შეზღუდული და ხშირად არასაკმარისია. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ცვლილებები მიმდინარე წელს საგანგებო მდგომარეობით არის გამოწვეული და ამ ეტაპზე არ გულისხმობს საშუალოვადიანი პრიორიტეტების ცვლილებას გარემოსდაცვითი მიმართულებით.
21. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებების, მიმდინარე წლის პრიორიტეტების გადახედვისა და გარკვეული გარემოსდაცვითი პროგრამების ასიგნებების შემცირების მიუხედავად, „მწვანე ბიუჯეტის პროექტის“ სახელმძღვანელო დოკუმენტში განხილული საკითხები და რეკომენდაციები არ კარგავს რელევანტურობას. „მწვანე ბიუჯეტის პროექტი“ მიზნად არ ისახავს ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას, არამედ უფრო მეტად ორიენტირებულია უკვე არსებული რესურსების უკეთეს განაწილებაზე, როგორც არსებული პროცესების დახვეწით, ასევე საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული ახალი მექანიზმების დანერგვით. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს 2021 წლის ბიუჯეტის ფორმირებას გარემოსდაცვითი მიმართულებით, შეზღუდული რესურსების პირობებშიც, რადგან მწვანე ბიუჯეტის ჰოლისტური მიდგომა უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას და ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

## რა არის მწვანე ბიუჯეტი

22. მწვანე ბიუჯეტი არის საქართველოს პარლამენტისთვის სარეკომენდაციო ძალის მქონე სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის მიზანია შესაბამისობაში მოიყვანოს მოცემული წლის ბიუჯეტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დარგში განსახორციელებელ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმებთან. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) 2017 წელს მიღებული „პარიზის თანამშრომლობის“<sup>2</sup> ფარგლებში მწვანე ბიუჯეტირებას განმარტავს, როგორც გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევისთვის საჭირო საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტს. აღნიშნული მოიცავს საბიუჯეტო და ფისკალური პოლიტიკის გარემოზე ზემოქმედებისა და მათი ეროვნული და საერთაშორისოდ გაცხადებული ვალდებულებების შესრულებასთან თავსებადობის შეფასებას.

23. მწვანე ბიუჯეტირება უზრუნველყოფს გარემოს დაცვის მიზნით გამოყოფილი სახელმწიფო ფინანსების განაწილების გამჭვირვალობას და საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტურ კომუნიკაციას. შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტირება ხელს უწყობს ინფორმირებულ, ფაქტებზე დაფუძნებულ დებატებსა და დისკუსიას მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.

მწვანე ბიუჯეტირების მიზანია დაძლიოს შემდეგი გამოწვევები:

- გარემოსდაცვითი ხარჯების არასისტემური დასაბუთება;
- შეფასებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს შორის სუსტი კავშირი;
- არასაკმარისი უწყებათშორისი თანამშრომლობა საბიუჯეტო პროცესში საერთო, სექტორთშორისი მიზნების მისაღწევად მდგრადი განვითარებისთვის და ეკონომიკური, ფისკალური, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების თანხვედრის ნაკლებობა.

24. მწვანე ბიუჯეტირების კომპლექსურობა და ფოკუსი დამოკიდებულია პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და პოლიტიკურ ნებაზე. მწვანე ბიუჯეტირება არ ცვლის პოლიტიკას, არამედ კოორდინირებული ქმედებითა და სისტემური მიდგომით, თანხვედრაში მოჰყავს საქმიანობების ერთობლიობა და ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

მწვანე ბიუჯეტირებით უნდა შეფასდეს და გაანალიზდეს:

- უწყებათშორისი ძალისხმევის განაწილებისა და სტრატეგიული დღის წესრიგით გამოწვეული საბიუჯეტო შედეგები:
  - ა. გარემოსდაცვითი პოლიტიკის საჭიროებათა ანალიზი;
  - ბ. გარემოსდაცვითი ქმედებების შეფასება ფისკალური მდგრადობის თვალსაზრისით;
  - გ. „მწვანე მიზნების“ ფორმულირება გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ბიუჯეტის დაგეგმვაში.
- სახელმწიფო ღონისძიებების გარემოზე ზემოქმედება:
  - ა. პოტენციურად გარემოზე ზიანის მომტანი ქმედებების საბიუჯეტო ხარჯების იდენტიფიცირება;
  - ბ. საგადასახადო სისტემის შეფასება გარემოზე ზემოქმედების კუთხით;

<sup>2</sup> Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), “Paris Collaborative on Green Budgeting”, <https://www.oecd.org/environment/green-budgeting/>

- გ. წიაღისეული საწვავის სუბსიდირების ინვენტარიზაცია;
- დ. კლიმატის ცვლილების ფაქტორების გათვალისწინებით ხარჯების პრიორიტეტიზაცია.

- რელევანტური საბიუჯეტო ღონისძიებები:
  - ა. წინასწარი გარემოსდაცვითი ზეგავლენის შეფასება (ex-ante);
  - ბ. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი;
  - გ. ქმედების რეალიზების შემდეგი შეფასება (ex-post).

25. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, ზოგიერთ ქვეყანას უკვე დაწყებული აქვს კლიმატის ცვლილებისა და სხვა უფრო ფართო გარემოსდაცვითი მდგრადობის ანალიზის საბიუჯეტო პროცესში ინტეგრირება:

- ნორვეგიის ბიუჯეტი<sup>3</sup> შეიცავს დეტალურ ქვეთავს, რომელშიც განხილულია შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: რესურსების პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად საგადასახადო სისტემის გამოყენების ანალიზი, ქვეყნის შედეგები კლიმატის ცვლილების მიმართულებით, განახლებადი რესურსების მენეჯმენტი;
- საფრანგეთს ყოველწლიურ საბიუჯეტო დოკუმენტებში<sup>4</sup> შეაქვს კლიმატის ეკონომიკური ანალიზის ყოვლისმომცველი ანგარიშგება და გეგმავს მონაცემების დამატებას საჭარო და კერძო ხარჯების შესახებ გარემოსდაცვითი მიზნების შესაბამისად. ამას გარდა, საფრანგეთმა შეიმუშავა ხარჯების ყოვლისმომცველი კლასიფიკაციის სისტემა<sup>5</sup> გარემოზე დადებითად, უარყოფითად და ნეიტრალურად მოქმედი ხარჯებისთვის. სისტემა ეხება არა მხოლოდ კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას, არამედ ექვს სხვადასხვა გარემოსდაცვით ასპექტს, მათ შორის - ბიომრავალფეროვნებას, წყლისა და ჰაერის ხარისხს;
- ირლანდია განსაზღვრავს სახელმწიფო ხარჯების რაოდენობას, რომელიც მიმართულია კლიმატის ცვლილების მოსაგვარებლად და გეგმავს, შეაფასოს სახელმწიფო ხარჯების გავლენა გარემოზე<sup>6</sup>;
- ახალი ზელანდიის „კეთილდღეობის ბიუჯეტში“<sup>7</sup> გაერთიანებულია სოციალური და გარემოსდაცვითი ინდიკატორები და მიზნები;
- გერმანიის ფინანსთა სამინისტროს მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევა<sup>8</sup> იყენებს სოციალურ-ეკონომიკური და კლიმატის განვითარების სხვადასხვა სცენარს, რათა შეისწავლოს კლიმატის ცვლილების შესაძლო გავლენა გერმანიის ფისკალურ მდგრადობაზე. ანგარიში გულისხმობს თვისებრივ და რაოდენობრივ შეფასებას, რომელიც დაფუძნებულია 10 სიტუაციურ ანალიზზე და მოიცავს შენობების, სოფლის მეურნეობის და სატყეო მეურნეობის, ენერჯის, წყლის, ტურიზმის, ტრანსპორტის, დაზღვევისა და ჯანმრთელობის დარგებს.

<sup>3</sup> Norwegian Ministry of Climate and Environment (2019), Report from the Technical Calculation Committee for Climate 2019

<sup>4</sup> SF (2009), Grenelle I - Le Sénat, <https://www.senat.fr/dossier-legislatif/pjl08-042.html> (accessed on 24 January 2020).

<sup>5</sup> CGEDD/IGF (2019), Green Budgeting : proposition de méthode pour une budgétisation environnementale

<sup>6</sup> Cremins, A. and L. Kevany (2018), "An Introduction to the Implementation of Green Budgeting in Ireland", Staff Paper, Climate Change Unit, Department of Public Expenditure and Reform, Irish Government Economic & Evaluation Service

<sup>7</sup> NZ Treasury (2019), Higher living standards

<sup>8</sup> Peter, M. and H. Lückge (2009), Klimawandel: Welche Belastungen entstehen für die Tragfähigkeit der Öffentlichen Finanzen?

# OECD-ის ჩარჩო მწვანე ბიუჯეტირებისთვის: ძირითადი პრინციპები

26. OECD-ის მწვანე ბიუჯეტირების ჩარჩოს გათვალისწინებით არსებობს მისი 8 ძირითადი პრინციპი:<sup>9</sup>

|                          |                           |                  |                     |
|--------------------------|---------------------------|------------------|---------------------|
| ყოვლისმომცველობა         | მთავრობის ერთიანი მიდგომა | სრული ინტეგრაცია | სანდოობა            |
| მტკიცებულებაზე დაფუძნება | გამჭვირვალობა             | თანმიმდევრულობა  | ფისკალური მდგრადობა |

- ყოვლისმომცველობა** - ქვეყანას უნდა ჰქონდეს ყოვლისმომცველი მიდგომა, რომ შეაფასოს, თუ რამდენად უწყობს ხელს მთლიანი ბიუჯეტი ქვეყნის გარემოსდაცვით ვალდებულებებს. ეს მოითხოვს ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების დადებითი და უარყოფითი გავლენის შეფასებას გარემოზე.
- მთავრობის ერთიანი მიდგომა** - გარემოსდაცვითი საკითხების კომპლექსურობა მოითხოვს მთავრობის ერთიანად მოქმედებას და მჭიდრო თანამშრომლობას, გამოცდილების გაზიარებას სტრატეგიული დაგეგმვის, პოლიტიკის ფორმულირების, მონაცემთა შეგროვების, მონიტორინგისა და შეფასების საკითხებში მთავრობის შიგნით, სექტორებსა და საერთაშორისო დონეზე.
- სრული ინტეგრაცია** - საჭიროა გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება არსებულ საბიუჯეტო პროცესში, მათ შორის - მტკიცებულებათა მოგროვების, ფინანსური და შედეგების შესახებ ანგარიშების, საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
- სანდოობა** - სრული ინტეგრაცია მიიღწევა პარტნიორი ინსტიტუტების მონაწილეობით, როგორცაა: დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტები, აუდიტორული ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, იმისათვის, რომ მოახდინონ შეფასების პროცესებისა და ანგარიშების ხარისხისა და სისრულის შემოწმება.
- მტკიცებულებაზე დაფუძნება** - მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია პროდუქტიული, ეფექტიანი, სანდო შედეგების უზრუნველსაყოფად.

<sup>9</sup> OECD (2020), "Key Principles", OECD Framework for Green Budgeting

- **გამჭვირვალობა** - საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენა და ანალიზი ზრდის გამჭვირვალობას.
- **თანმიმდევრულობა** - პოლიტიკის თანმიმდევრულობისთვის მნიშვნელოვანია სისტემური და კოორდინირებული მიდგომით ხორციელდებოდეს პოლიტიკის დაგეგმვა და ქვეყნის საბიუჯეტო პროცესში ინტეგრირება. ამაში უნდა ჩაერთოს ყველა ინსტიტუციური მექანიზმი, რომლებიც წარმართავს საბიუჯეტო გადაწყვეტილებებს დასახული მიზნების შესაბამისად.
- **ფისკალური მდგრადობა** - გარემოსდაცვითი მიზნების განხორციელება უნდა ხდებოდეს ფისკალურად მდგრად საბიუჯეტო ჩარჩოში და შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ პრიორიტეტებთან. ეს მოითხოვს ზემოდან ქვემოთ საბიუჯეტო ჩარჩოს არსებობას, რომელიც დაფუძნებული იქნება ფისკალურ მიზნებსა და ძლიერ საშუალოვადიან საბიუჯეტო პროცესზე.

# სახელმწიფო ბიუჯეტის მწვანე ანალიზი

## ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD)

27. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD) გარემოსდაცვითი საკითხები ძირითადად განხილულია „დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკისა“ და „ბუნებრივი რესურსების მართვის“ კომპონენტებში. BDD-ში აგრეგირებულად არის განხილული სახელმწიფოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა.
28. BDD-ში ასევე წარმოდგენილია გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები; თუმცა ისინი ზოგადი ხასიათისაა და ბუნდოვანია, თუ რას მოიცავს, მაგალითად, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, ან რომელი ახალი მარეგულირებელი ნორმების დანერგვა არის გათვალისწინებული პოლიტიკის ფარგლებში.
29. საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი ღონისძიებები ცალკეულად გარემოსდაცვით კომპეტენციაზე კონცენტრირდება. თუმცა სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით არ არის განხილული გარემოზე პოტენციური გავლენა, მაშინ როდესაც შესაძლოა არსებობდეს პირდაპირი ან ირიბი კავშირი ღონისძიებებს შორის. აღნიშნული განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ფონზე, რომ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, „სოფლის მეურნეობის“ განმარტება თავის თავში ასევე აერთიანებს გარემოსდაცვით ასპექტებს. ამასთან, სტრატეგია განსაზღვრავს ღონისძიებებს შემდეგი მიმართულებებით:
1. კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები;
  2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
  3. სურსათის/ცხოველის საკვების უზნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები. შედეგად, სოფლის მეურნეობის მიზნებში ასევე ინტეგრირებულია გარემოს დაცვის მიმართულებები, რაც ახდენს დარგების ორმხრივ სინქრონიზაციას.
30. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გარემოზე პოტენციური გავლენა არ არის განხილული დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მიმართულებებშიც. მაგალითად, ენერგეტიკული პოლიტიკის განხორციელება<sup>10</sup> არ განიხილავს გარემოსთან ურთიერთქმედების პოტენციურ შედეგებს, მაშინ როდესაც პოლიტიკის მიმართულებები მოიცავს პროგრამებს, რომელთაც აქვთ გარემოზე ზემოქმედება: გაზისა და ელექტროენერჯის უსაფრთხო და სტაბილური გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის შექმნა; რეგიონებში მოსახლეობის გაზიფიცირების უზრუნველყოფა; განახლებადი ენერჯის ათვისება. ენერგეტიკის სექტორის გარემოზე ზემოქმედების შედეგების შესახებ დეტალური ანალიზი წარმოდგენილია ქვეთავში „ენერგეტიკის სექტორი“.

<sup>10</sup> ენერგეტიკის დარგის პოლიტიკის ქვეთავი BDD-ში

31. დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკისგან განსხვავებით, აღსანიშნავია, რომ გარკვეული ხედვა გარემოზე ზემოქმედების შესახებ წარმოდგენილია ბუნებრივი რესურსების მართვის პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში, სადაც განხილულია პოლიტიკის კუთხით დაგეგმილი ინიციატივები ბუნებრივი რესურსების მართვის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.
32. საყურადღებოა, რომ ზემოხსენებული სექტორები სრულად არ ფარავს სახელმწიფო გარემოსდაცვითი ფუნქციების ყველა მიმართულებას. როგორც ქვეთავში „გარემოსდაცვითი მმართველობა“ არის განხილული, გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, განათლების და ჯანდაცვის სამინისტროებს. თუმცა აღნიშნული მიმართულებებით დაგეგმილ გარემოსდაცვით ღონისძიებებს BDD არ განიხილავს.
33. შესაბამისად, BDD შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს, რათა უზრუნველყოს საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩოთი გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ასპექტებისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესახებ სრულყოფილი სურათის წარმოდგენა; კერძოდ, BDD სრულად არ მოიცავს ინფორმაციას გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში დაგეგმილი ახალი მარეგულირებელი ნორმების, კონკრეტული სისტემებისა თუ მექანიზმების შემუშავებისა და მათი საშუალოვადიან მიზნებზე/მისაღწევ შედეგებზე შესაძლო გავლენის შესახებ. გარდა ამისა, BDD შეზღუდულად განიხილავს გარემოსდაცვით საკითხებს ინტერსექტორულ ქრილში; კერძოდ, არ არის წარმოდგენილი ხედვა სხვადასხვა დარგობრივი პოლიტიკის განხორციელების შედეგად გარემოზე ზეგავლენის ან გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიზნების მიღწევის შესაძლო შეფერხების/ხელშეწყობის მასშტაბის შესახებ. აღნიშნული მიუთითებს BDD-ის შემდგომი სრულყოფისა და დეტალიზაციის საჭიროებაზე.

## საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები

34. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სამინისტროს განსახორციელებელი პროგრამების მიზნებსა და მის ფარგლებში დაგეგმილი მოსალოდნელი შედეგების/მიზნობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციას. სამოქმედო გეგმაში ასევე მითითებულია პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი მსხვილი ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა.
35. გეგმაში უშუალოდ გარემოს მიმართულებასთან დაკავშირებული 109 მლნ ლარის ჯამური ასიგნებების პროგრამებისთვის წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია თითოეული პროგრამის/ქვეპროგრამის მიზნების, მათი მოსალოდნელი შედეგების, შეფასების ინდიკატორების მიზნობრივი მაჩვენებლებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, დასაგეგმი და შემდგომი 3 წლისთვის. რაც შეეხება ხარჯთაღრიცხვას, პროგრამების/ქვეპროგრამების უმეტესობა ჩაშლილია მათ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების მიხედვით, რითაც დაფარულია ჯამური რესურსების 75%-ზე მეტი; კერძოდ, 19 პროგრამის/ქვეპროგრამისთვის (ჯამურად 82 მლნ ლარის<sup>11</sup> ბიუჯეტისთვის) წარმოდგენილია 60 ღონისძიება.
36. საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში პროგრამების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაში, BDD-ის მსგავსად, პროგრამების ფარგლებში ნაკლებად არის განხილული კავშირი/გავლენა სხვა პროგრამებთან მიმართებაში და მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ უშუალოდ პროგრამის

<sup>11</sup> მაჩვენებლები დათვლილია 2019 წლის ბიუჯეტისთვის.

ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. შესაბამისად, არც შესაძლო რისკებისა და ცდომილების ალბათობის ნაწილები ასახავს სხვა პროგრამების აქტივობების შესაძლო უარყოფით გავლენას დაგეგმილ მოსალოდნელ შედეგებზე.

37. ჯერჯერობით გამოწვევად რჩება დაგეგმვა საშუალოვადიანი პერიოდის ქრილში, როგორც მოსალოდნელი შედეგების/ინდიკატორების, ასევე ფინანსური რესურსების დაგეგმვის კუთხით. რიგ შემთხვევებში პროგრამის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაში დაგეგმვის შემდგომი 3 წლის ინდიკატორების მიზნობრივ მაჩვენებლებად მოცემულია ანალოგიური მაჩვენებლები და აქტივობები, რაც დასაგეგმი წლის (2019 წლის) შემთხვევაში იყო გამოყენებული. ამასთან, ეს მაჩვენებლები მოცემულია იმ შემთხვევებშიც, როდესაც ადგილი აქვს პროგრამის ასიგნებების ცვლილებას საშუალოვადიან პერიოდში. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საშუალოვადიანი დაგეგმვა ზოგად გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა მუდმივად არის განვითარებადი ქვეყნების დღის წესრიგში.
38. საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ სამინისტროებს ევალებათ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შეფასების (საქმიანობის შედეგების) დოკუმენტის<sup>12</sup> წარდგენა. სამინისტროს 2018-2019 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შეფასების დოკუმენტი ძირითადად მიმოიხილავს განხორციელებულ აქტივობებს და კონკრეტული ინდიკატორების შესრულების მდგომარეობას. თუმცა საქმიანობის შედეგების ეფექტური მონიტორინგის უზრუნველსაყოფად (როგორც პროგრამული ბიუჯეტის შედეგების მეთოდოლოგიით არის განსაზღვრული) დოკუმენტი საჭიროებს შემდგომ ხარისხობრივ გაუმჯობესებას და დამატებითი ანალიზის საშუალებით განხორციელებული პოლიტიკის შედეგად მიღებული სარგებლის შეფასებების ინტეგრირებას.
39. არსებული მდგომარეობით, სამინისტროების პროგრამების განხორციელების, ახალი ან უკვე დანერგილი პოლიტიკის, რეფორმის, რეგულაციის შემუშავების პოტენციური ან მიღებული გავლენების შეფასების მიზნით ex-ante/ex-post შეფასებების და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის ჩატარება ნაკლებად ხდება, რაც ასევე ართულებს სამინისტროს საქმიანობის შედეგად მიღებული სარგებლის გაზომვას და ანგარიშების დოკუმენტებში ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენას.

## ბიუჯეტის კანონი და შესრულების წლიური ანგარიში

40. სახელმწიფო ბიუჯეტი 2012 წლიდან მზადდება პროგრამული ფორმატით, რის თანახმადაც, ბიუჯეტის დაგეგმვისას გრძელვადიანი პერიოდისთვის განისაზღვრება ძირითადი მიმართულებების ე.წ. პრიორიტეტები. სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოდგენილია 12 ძირითადი პრიორიტეტით, რომელთაგან ერთ-ერთია „გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა“. ცალკე პრიორიტეტია „სოფლის მეურნეობა“. პრიორიტეტებს შორის თანხობრივად ყველაზე ნაკლები ოდენობის რესურსები სწორედ „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის“ პრიორიტეტზე მოდის, რაც 2019 წლის შემთხვევაში 114 მლნ ლარს შეადგენდა. აღნიშნულ რესურსებში საბიუჯეტო სახსრებიდან მიმართული ასიგნებები 66 მლნ ლარით შემოიფარგლებოდა, დანარჩენი 48 მლნ ლარი კი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული საკუთარი შემოსავლები იყო.

<sup>12</sup> საქართველოს მთავრობის N107 დადგენილებით განსაზღვრული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შეფასების ფორმა.



41. 2019 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა გარემოს დაცვით პრიორიტეტული პროგრამების გამოყოფილი, ისე დახარჯული თანხების ოდენობა; კერძოდ, ფაქტობრივად დახარჯული თანხები გაიზარდა 17 მლნ ლარით. აღნიშნულ ზრდაში ყველაზე დიდი კონტრიბუცია „გარემოსდაცვითი ზედამხედველობისა“ და „დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვის“ პროგრამების ასიგნებების ოდენობის ზრდას ჰქონდა, შესაბამისად, 8 მლნ და 3 მლნ ლარით. ამასთან, 2018 წელს სრულად ვერ მოხერხდა გამოყოფილი ასიგნებების ათვისება; კერძოდ, „დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვის“ პროგრამისთვის გამოყოფილი იყო 15 მლნ ლარი, თუმცა წლის განმავლობაში მხოლოდ 8.5 მლნ ლარი იქნა ათვისებული, რაც შესყიდვის პროცედურებისა და სამშენებლო სამუშაოების გაჭიანურებასთან იყო დაკავშირებული.
42. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის“ პრიორიტეტი შედგება მხოლოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმ პროგრამებისაგან, რომლებსაც სამინისტრო გარემოს დაცვის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს. დამატებით პრიორიტეტი მოიცავს ეკონომიკის სამინისტროს ერთ პროგრამას - „სასარგებლო წიაღისეულის მართვა და კოორდინაცია“, რომლის დაფინანსებაზეც საბიუჯეტო რესურსები არ მიიმართება.
43. ზემოხსენებული პროგრამების გარდა, ბიუჯეტის კანონით ასევე განსაზღვრულია სხვა პროგრამებიც, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი გავლენა აქვთ გარემოზე, თუმცა ბიუჯეტის კანონში ცალკეულად არ ხდება მსგავსი პროგრამის იდენტიფიცირება. შესაბამისად, რთულდება გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და მათზე მიმართული რესურსების შესახებ ერთიანი სურათის დანახვა და იმის გაანალიზება, თუ როგორ მოქმედებს სახელმწიფოს მთავარი ფინანსური დოკუმენტით გათვალისწინებული ფისკალური პოლიტიკა გარემოზე. წინამდებარე დოკუმენტის მეორე ნაწილში წარმოდგენილი ქვეთავები დეტალურად განიხილავს სხვადასხვა უწყების ფარგლებში განსაზღვრულ სახელმწიფო პროგრამებს, რომელთაგან ზოგიერთი უშუალოდ გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებას ემსახურება, ზოგს კი უარყოფითი გავლენა აქვს გარემოზე. სფეროები ეხება არა მხოლოდ გარემოს დაცვის, არამედ სოფლის მეურნეობის, ენერჯეტიკის, ინფრასტრუქტურის, ბიზნესის, ეკოტურიზმის, განათლების სექტორებს.
44. ზემოხსენებულთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია, რომ თითოეული პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხდებოდა საკუთარ და სხვა პროგრამების ფარგლებში განსაზღვრულ აქტივობებს შორის არსებული ურთიერთკავშირების, პოზიტიური და ნეგატიური გავლენის იდენტიფიცირება. გავლენის ხასიათისა და მასშტაბის ანალიზი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს, რომ ერთი მიმართულებით მიღწეულმა პროგრესმა არ დააზიანოს სხვა სფეროები; მეორე მხრივ, ხელს უწყობს რესურსების მდგრად და ეკონომიურ გამოყენებასა და პასუხისმგებელი უწყებების ინტეგრირებულ/პარტნიორულ მოქმედებებს, სინერჯის ეფექტის მიღების მიზნით.
45. მიმდინარე მდგომარეობით, გარემოს დაცვის მიმართულებით პროგრამებს შორის ურთიერთკავშირის დადგენის მიზნით, უწყებების მიერ გავლენების ხასიათისა და მასშტაბის შეფასება არ ატარებს სისტემურ და ინტენსიურ ხასიათს.

## პროგრამული ბიუჯეტის დანართი

46. სახელმწიფო ბიუჯეტი მზადდება პროგრამული ფორმატით, რაც ბიუჯეტირების შედეგზე ორიენტირებული მიდგომაა. მისი ამოსავალი წერტილია არა - გამოყოფილი რესურსების ოდენობა, არამედ წინასწარ განსაზღვრული შედეგები, რომელთა მიღწევაც იგეგმება არსებული რესურსების ფარგლებში.
47. „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის“ პრიორიტეტში შემავალ პროგრამებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეტაპობრივად უმჯობესდება პროგრამული დანართით წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი. მათ შორის - უკეთესად ხდება შეფასების ინდიკატორების მიზნობრივი მაჩვენებლების რაოდენობრივად წარმოდგენა. თუმცა 2019 წლის ბიუჯეტის კანონისა და შესრულების ანგარიშის პროგრამული დანართის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საყურადღებო საკითხები:
- გარკვეულ შემთხვევებში შედეგების შეფასების ინდიკატორები შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს, რათა სრულყოფილად უზრუნველყოს მიღწეული შედეგის შეფასება. ამასთან, მიზანშეწონილია პროგრამებისთვის დამატებით ხარისხობრივი ინდიკატორების შემუშავება;
  - ცალკეულ შემთხვევებში სრულად არ ხდება მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება;
  - დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებული გადახრების შესახებ განმარტებები ყოველთვის სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი;
  - ზოგჯერ მოსალოდნელი შედეგები იგეგმება პესიმისტურად, რის შედეგადაც მიღწეული შედეგები მნიშვნელოვნად აღემატება დაგეგმილ მაჩვენებლებს.
48. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ბიუჯეტის კანონზე მუშაობისას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გადაიღვა საწყისი ნაბიჯები ბიუჯეტის პროგრამულ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით; კერძოდ, სამინისტროს პროგრამის - „გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია“ - მოსალოდნელ შედეგებსა და შეფასების ინდიკატორებში აისახა SDGs-ის შესაბამისი ამოცანები.

## მწვანე ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპები

49. საქართველოში წლიური ბიუჯეტის დაგეგმვა 10 თვის განმავლობაში მიმდინარეობს და მრავალი საფეხურისაგან შედგება. სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პირველი ეტაპი იწყება ყოველი წლის პირველ მარტამდე BDD-ის მომზადებაზე მუშაობით. აღნიშნული პროცედურით იწყება ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი. სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტები, საბიუჯეტო დეპარტამენტთან კოორდინაციის საფუძველზე, განსაზღვრავენ პროგრამების მიზნებს, განსახორციელებელ ღონისძიებებსა და მოსალოდნელ შედეგებს/ინდიკატორებს. ამის შემდეგ კი მზადდება შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა განსახორციელებელი აქტივობებისთვის საჭირო რესურსების საორიენტაციო მოცულობის წარმოსადგენად. სამინისტროს ინფორმაციით, ამ პროცესში ასევე შეძლებისდაგვარად ხდება სამინისტროს სტრატეგიის დოკუმენტების - საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამისა და სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის მიზნების/ინდიკატორების გათვალისწინება. ასიგნებების კუთხით კი სტრატეგიის მიზნების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების სრულად ასახვა შეზღუდული საბიუჯეტო რესურსების გამო ვერ ხერხდება.

50. ვინაიდან მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარსადგენი დოკუმენტები ემსახურება BDD-ის შემუშავებას, აღნიშნულ ეტაპზე მომზადებული ინფორმაცია გარემოსდაცვითი მიზნების, ახალი/მიმდინარე პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგების შესახებ, რაც საბოლოოდ აისახება ბიუჯეტის დაგეგმვაში, ასევე მნიშვნელოვანია მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისითაც.
51. გარდა ამისა, ამავე პერიოდში ხორციელდება სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შეფასების (საქმიანობის შედეგების) დოკუმენტის<sup>13</sup> შემუშავება. მწვანე ბიუჯეტირების კუთხით, აღნიშნული ინფორმაცია, სხვა დამატებით მასალებთან ერთად, შესაძლოა რელევანტური იყოს გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასებისთვის.
52. შემდეგ ეტაპზე, მხარჯავი დაწესებულებების მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონსოლიდირების შედეგად, ფინანსთა სამინისტრო ამზადებს BDD-ს - ქვეყნის განვითარების ძირითად გეგმას. დოკუმენტი 1-ელ ივნისამდე წარედგინება პარლამენტს კომიტეტების დასკვნების მოსამზადებლად. შესაბამისი დასკვნები 20 ივნისამდე კი ეგზავნება საქართველოს მთავრობას. უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტი ამ ეტაპამდე ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესებში არ მონაწილეობს.
53. ვინაიდან ფინანსთა სამინისტროს მიერ BDD-ის მომზადებისას ხორციელდება მხარჯავი დაწესებულებების მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონსოლიდირება, მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში, აღნიშნულ ეტაპზე შესაძლებელია მოხდეს იდენტიფიცირება, თუ როგორ გავლენას იქონიებს თითოეული სექტორის ან სამინისტროს პოლიტიკა გარემოზე და ამის საფუძველზე განისაზღვროს ეროვნული გარემოსდაცვითი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები ერთიანი ფისკალური პოლიტიკის ჩრჩილში.
54. გარდა ამისა, აღნიშნული ეტაპიდან შესაძლებელია პარლამენტმა განახორციელოს საზედამხედველო ფუნქცია, გარემოსდაცვითი კუთხით დოკუმენტის ანალიზისა და შესაბამისი დასკვნების სამინისტროებისა და მთავრობისთვის მიწოდებით.
55. წლიური ბიუჯეტის დაზუსტებისა და შესრულების შემდგომ ხორციელდება ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგება. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროები ასევე ამზადებენ სექტორული სტრატეგიებისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებსაც, ანგარიშგების უმთავრეს და საჭაროდ ხელმისაწვდომ დოკუმენტს წარმოადგენს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, სადაც ხორციელდება დაგეგმილი და ფაქტობრივად მიღწეული შედეგების შედარება. შესაბამისად, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულეს, სიზუსტესა და გამჭვირვალობას გადამწყვეტი როლი ენიჭება. აღნიშნული საფეხური გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ასევე მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტშიც საბიუჯეტო პროცესში ჩართული ყველა მხარისთვის.
56. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა საბიუჯეტო დოკუმენტაციაში გამოყოფილი დოკუმენტის სახით არ ხდება. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ბიუჯეტის სხვადასხვა თავში და განხილულია მხოლოდ გარემოს დაცვის პრიორიტეტის დონეზე ან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩრჩილში.

<sup>13</sup> საქართველოს მთავრობის N107 დადგენილებით განსაზღვრული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შეფასების ფორმა.

## რეკომენდაციები

### საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

#### საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- i. შესაძლებლობის ფარგლებში, მიზანშეწონილია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ბიუჯეტირების პროცესში უზრუნველყონ: სხვადასხვა დარგობრივი პოლიტიკის განხორციელების შედეგად საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩოთი გათვალისწინებული, გარემოზე ზეგავლენის შესახებ სრულყოფილი ხედვის წარმოსადგენად, BDD-ში, გარემოსდაცვითი მიმართულების დარგის ქრილში, სრულად იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია ახალი პოლიტიკის, მარეგულირებელი ნორმების, კონკრეტული სისტემებისა თუ მექანიზმების შემუშავების და მათი საშუალოვადიან მიზნებზე/მისაღწევ შედეგებზე შესაძლო გავლენის შესახებ;
- ii. გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და მათზე მიმართული რესურსების შესახებ ერთიანი სურათის წარმოსადგენად, (1) მოხდეს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ყველა პროგრამის/ღონისძიების იდენტიფიცირება, (2) განისაზღვროს შესაბამისი ფინანსური და არაფინანსური ინფორმაცია და (3) ერთიანად იქნეს წარმოდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ცალკეული ქვეთავის/დანართის სახით.

#### საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- i. გარემოსდაცვით მიმართულებასთან დაკავშირებული სამინისტროების მიერ, დაგეგმილი ან უკვე განხორციელებული პოლიტიკის/ რეფორმის/ პროგრამის გავლენების შესაფასებლად, ყოველწლიურად შეირჩეს პრიორიტეტული მიმართულებები და ჩატარდეს ex-ante/ex-post შეფასებები და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზები, შედეგები კი ასევე აისახოს სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში;
- ii. ინტეგრირებული მოქმედებებისა და რესურსების მდგრადი და ეკონომიური გამოყენების უზრუნველსაყოფად გარემოსდაცვით მიმართულებასთან დაკავშირებული თითოეული პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყების მიერ რეგულარულად მოხდეს საკუთარ და სხვა პროგრამებს შორის არსებული ურთიერთკავშირების, პოზიტიური და ნეგატიური გავლენის იდენტიფიცირება. საჭიროების შემთხვევაში ასევე მოხდეს უწყებების პოლიტიკის სამსახურების ადამიანური რესურსების გაძლიერება;
- iii. გაგრძელდეს მუშაობა საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებით, სექტორული სტრატეგიებითა და პოლიტიკის დოკუმენტებით განსაზღვრული ინდიკატორების პროგრამულ დანართსა და სამინისტროების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში ინტეგრირების მიმართულებით, რათა მოხდეს ინდიკატორების ბიუჯეტირების პროცესში გათვალისწინება და შედეგის მისაღწევად საჭირო რესურსების განსაზღვრა. აღნიშნული მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ ინფორმაცია ყოველწლიურად წარედგინოს კომიტეტს.

## საქართველოს გარემოსდაცვითი პრიორიტეტები

57. მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება ორ უმთავრეს პირობაზე დაფუძნებული – გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირება და ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენება. ისტორიულ პრობლემებთან მიმართებაში ასევე მნიშვნელოვანია პრიორიტეტული ქმედებების იდენტიფიცირება და პროცესების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვა, რაშიც მწვანე ბიუჯეტირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

58. საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების თანაბრად გათვალისწინებას გულისხმობს. შესაბამისად, სახელმწიფოს გარემოსდაცვითი ფუნქცია გარემოზე სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირებას მოიაზრებს.

59. ამავდროულად, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის ქმნის პირობებს სიღარიბის შემცირებისა და მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის. მწვანე სამუშაო ადგილები საზოგადოებას უბიძგებს, გარემოსთან მომხმარებლური დამოკიდებულება შეცვალოს კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხისთვის აუცილებელი ფაქტორის მიმართ ფრთხილი დამოკიდებულებით.

შესაბამისად, გარემო ქვეყნის დარგობრივი თუ რეგიონული განვითარების აუცილებელი ნაწილია და გარემოსდაცვითი პრიორიტეტები ყველა სტრატეგიულ დოკუმენტში აისახება.

## საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა

60. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (NEAP) გარემოსდაცვითი პოლიტიკის განმსაზღვრელი უმთავრესი სტრატეგიული ჩარჩო- დოკუმენტია. ის გულისხმობს ოთხი ძირითადი მიზნის მიღწევას, კერძოდ:

- გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების დაცვის/მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა და იმ რისკების თავიდან აცილება/მინიმუმამდე დაყვანა, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას და მოსახლეობის კეთილდღეობას;
- საქართველოს მიერ რეგიონული და გლობალური გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესება და შემდგომი დაახლოება ევროკავშირის გარემოსდაცვით პოლიტიკასთან, ჩარჩო კანონმდებლობასა და კონკრეტული დირექტივების მოთხოვნებთან;
- ადმინისტრაციული სტრუქტურების გაძლიერება ეფექტიანი გარემოსდაცვითი მართვისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველსაყოფად;
- მდგრადი განვითარების ხელშეწყობა სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაში გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრაციის საშუალებით.

61. NEAP-ში მკაფიოდ და ლაკონურადაა შეფასებული უმთავრესი გარემოსდაცვითი მიმართულებების არსებული მდგომარეობა და გამოწვევები, რომელთა გადაწყვეტა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეროვნული და საერთაშორისოდ გაცხადებული დღის წესრიგის საკითხების რეალიზებისთვის. აღნიშნულ პროგრამას თან ახლავს სამოქმედო გეგმა, რაც განსაზღვრავს, როგორც კომპეტენტურ და პარტნიორ უწყებებს, ასევე, საჭირო რესურსებზე ხელმისაწვდომობის სტატუსს.

## საერთაშორისო გარემოსდაცვითი ვალდებულებები

62. 2013 წლიდან განხორციელებული გარემოსდაცვითი რეფორმების შედეგად, დაჩქარდა გარემოსდაცვითი მმართველობის საკანონმდებლო ჩარჩოს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ახლებური გააზრება. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულმა საკანონმდებლო ჰარმონიზაციის პროცესმა; კერძოდ, პარლამენტმა მიიღო ნარჩენების მართვის კოდექსი და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რაც საერთაშორისო პრაქტიკის და ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია და თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს. გარდა ამისა, ტყის ახალი კოდექსის მიღებით უზრუნველყოფილი იქნება ტყის მდგრადი მართვა, რაც პასუხობს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მოთხოვნებს.

63. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სუსტი ინსტიტუციური შესაძლებლობების გამო გამოწვევად რჩება გარემოსდაცვითი ფუნქციის ეფექტური აღსრულებისთვის შესაბამისი გარემოსდაცვითი მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება. აუცილებელია გაცხადებული პოლიტიკისა და მოქმედი რეგულაციების შესაბამისი გარემოსდაცვითი სისტემების განვითარება (ფინანსური რესურსების გამოყოფა, კადრების მოზიდვა და ახალი მოთხოვნების მიხედვით გადამზადება, ტექნიკური აღჭურვა და სხვა), რაც ახალი მარეგულირებელი ჩარჩოს აღსრულებას გახდის შესაძლებელს. ახალი რეგულაციების დანერგვის მიზნით, აუცილებელია შესაბამისი სამოქმედო გეგმების მომზადება და აღსრულების მექანიზმის ეტაპობრივად განვითარება. გარემოსდაცვითი ზედამხედველობისა და ნებართვების გამცემ უწყებებს, საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ესაჭიროებათ შესაბამისი კადრების მოზიდვა/გადამზადება, რაც მათთვის გამოყოფილი მიმდინარე საბიუჯეტო რესურსით ამ ეტაპზე შეუძლებელია.

64. მაგალითად, მცირეა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის დაფინანსება კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების რეალიზებისთვის. ტყის ახალი კოდექსის მიღების შედეგად მნიშვნელოვანია ტყის მმართველი უწყებების (ეროვნული სატყეო სააგენტო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ა.შ.) სათანადო რესურსებით უზრუნველყოფა, რის გარეშეც ის ვერ შეძლებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას (ტექნიკის შეძენა, სასაწყობე მეურნეობის, ე.წ. საქმიანი ეზოების სრული მასშტაბით განვითარება) ხე-ტყის მდგრადი მეთოდით დამზადებისა და რეალიზაციის სისტემის ასამოქმედებლად. აღნიშნულმა საფუძველი უნდა შექმნას დარგის მდგრადობისა და იმ რესურსების აკუმულირებისთვის, რაც შემდეგში ტყის მმართველ უწყებებს დაეხმარება სატყეო ღონისძიებების სრულფასოვანი განხორციელების პროცესში.

65. პრობლემურია რიგი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მიღების გადავადებაც, რაც აფერხებს ამავე თუ სხვა უწყების მიერ საჭირო ქმედების სათანადო ვადებში შესრულებას. მაგ. მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზება (სახიფათო ნარჩენების სარკოფაგების და რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობის დაყოვნება და სხვა).

## რეკომენდაციები

### საქართველოს მთავრობა

- i. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული ეროვნული და დარგობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ჰარმონიზება; კერძოდ, აუცილებელია ეროვნულ დონეზე მდგრადი განვითარების სტრატეგიის/პოლიტიკის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება სექტორულ/დარგობრივ გარემოსდაცვით სტრატეგიებში განსაზღვრული საერთაშორისო გარემოსდაცვითი ვალდებულებებისა და გაცხადებული ეროვნული მისწრაფებების ასპექტები. აღნიშნული ჰარმონიზაცია გარემოსდაცვით საკითხებზე სექტორულ თანამშრომლობას კიდევ უფრო გაამყარებს და საერთაშორისო დონეზე კიდევ უფრო გაზრდილ მხარდაჭერას განაპირობებს;
- ii. სახიფათო სამრეწველო ობიექტების შემოწმების ინტეგრირებული სისტემის დანერგვისთვის მიზანშეწონილია დაჩქარდეს კანონის მიღება „მასშტაბური ავარიების საფრთხეების კონტროლის შესახებ“.

### საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- i. საქართველოს კანონი - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის სრულად ამოქმედების მიზნით, მნიშვნელოვანია „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ კონვენციისა და მისი „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“ ოქმის საქართველოსთვის ძალაში შესვლა, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ქმედებების ეტაპობრივად განხორციელება;
- ii. „მინამატას შესახებ ვერცხლისწყლის“ კონვენციის რატიფიცირების მიზნით, აუცილებელია შემუშავდეს სრული საკანონმდებლო პაკეტი და მოხდეს შესაბამისი კანონმდებლობის მიღებისა და რატიფიცირების პროცესის უზრუნველყოფა;
- iii. მნიშვნელოვანია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის მიღება, რომელიც გულისხმობს სააუზე მართვის სისტემის დანერგვას საქართველოში;
- iv. 2018-2019 წლებისთვის გათვალისწინებული ქიმიური ნივთიერებების მართვის მდგრადი სისტემის შეუსრულებელი ღონისძიებების (ახალი ჩარჩო-კანონისა და „ნივთიერებების და ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირების და შეფუთვის შესახებ“ კანონქვემდებარე აქტის მომზადება, სახიფათო ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრისა და ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებული ობიექტების იდენტიფიცირების ერთიანი მექანიზმის შექმნა) დროული რეალიზება.

## გარემოსდაცვითი მართვა

66. გარემოსდაცვითი პოლიტიკის და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებისა და ადმინისტრირების უმთავრესი კომპეტენციები **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროშია** თავმოყრილი. ამ უწყების მიერ ხდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხის რეგულირება, რეგიონულ და გლობალურ დღის წესრიგში საქართველოს ჩართულობის საკითხის კოორდინირება, მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარება.
67. აღსანიშნავია **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს**, როგორც მდგრადი და ინკლუზიური განვითარების წარმმართველის ფუნქცია, სახელმწიფო ქონების მართვის როლი და მათში გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინება. მდგრადი განვითარების მისაღწევად, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა გარემოსდაცვითი ფაქტორის ინტეგრირება ენერჯეტიკის, მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებისას, ისევე, როგორც ბიზნესის მხარდაჭერი მექანიზმების უზრუნველყოფისას.
68. მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული ასევე **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს** შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მაქსიმალური შემცირების უზრუნველყოფის, ბუნებრივი რესურსების მოხმარებისა და გარემოს პირობების გაუმჯობესების კუთხით, შესაბამისი კომუნალური სისტემებისა და სხვა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით.
69. ბუნებრივი საფრთხეებით/სტიქიური მოვლენებით გამოწვეული კატასტროფების მართვის კუთხით საკვანძოა შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი. გარდა ამისა, სამინისტრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.
70. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უმთავრესი როლი აკისრია გარემოსდაცვითი სისტემური ინიციატივების დაფინანსების უზრუნველყოფისთვის. მისი კომპეტენციაა აგრეთვე მწვანე სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკული ინსტრუმენტების განვითარება და დანერგვა.
71. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარემოსდაცვითი ასპექტის განათლების შესაბამის საფეხურზე სასწავლო პროგრამებში ინტეგრირების, ისევე როგორც მეცნიერული კვლევების ხელშეწყობის კუთხით. ამასთან, სამინისტროს მიერ ხდება გარემოსდაცვითი ფაქტორის გათვალისწინება სასწავლო ინფრასტრუქტურის განახლების პროცესში ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერჯიების მოხმარების დანერგვით.
72. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს როლი საგულისხმოა გარემოს დაცვასთან შესაბამისობაში მყოფი ჯანდაცვის სტანდარტების მიღებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობის მხარდაჭერის თვალსაზრისით (მაგ.: სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში ჩართულობა).
73. გარემოსდაცვითი პოლიტიკის აღსრულებაში განსაკუთრებულია თვითმმართველობების როლი, რაც გამოიხატება ისეთი კომპეტენციების განხორციელებაში, როგორიცაა: კომუნალური სერვისები (წყალი, ნარჩენები, საკანალიზაციო და სანიაღვრე სერვისები);



მუნიციპალური ტრანსპორტი; მშენებლობა და კეთილმოწყობა; გამწვანება; ეკონომიკის/ ბიზნესის, კულტურის, სოციალური მომსახურებები და ბუნებრივი საფრთხეებით/სტიქიური მოვლენებით გამომწვეული კატასტროფების პრევენცია; მოსახლეობის მომარაგება ხეცის რესურსით; მუნიციპალური ტყეების მართვა (ახმეტისა და თბილისის შემთხვევაში) და სხვ.

74. თითოეული სახელმწიფო უწყების როლი გარემოსდაცვით სფეროში მათ მიერ ორგანიზებული საქონლისა თუ მომსახურების შესყიდვებით გამოიხატება, რაც ამ ეტაპისთვის არასისტემატურ ხასიათს ატარებს.

## გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი და გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვა

75. გარემოს მდგომარეობის აღრიცხვა და მონიტორინგი თანდათან უმჯობესდება, თუმცა მისი ფრაგმენტული ხასიათი ვერ უზრუნველყოფს მიღებული ინფორმაციის სანდოობას და გარემოსდაცვითი სიტუაციის სრული ანალიზის შესაძლებლობას. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში გარემოსდაცვითი ინფორმაცია არ არის საკმარისი საჭირო გადაწყვეტილებების მისაღებად. აუცილებელია გარემოზე ზემოქმედების და გარემოს სტრატეგიული შეფასების ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესება; წყლის, ჰაერის, ნიადაგის, ნიაღისეულის, ფლორისა და ფაუნის, გეოლოგიის, მეტეოროლოგიის თუ სხვა საინფორმაციო მიმდინარე (მ.შ. ავტომატური) და პერიოდული აღრიცხვის სისტემების განვითარება. სანდო და რელევანტური ინფორმაცია და მის საფუძველზე მომზადებული ანალიზი ეფექტური გარემოსდაცვითი მმართველობის აუცილებელი წინაპირობაა.
76. გარემოს მონიტორინგის სისტემების გამართულ ფუნქციონირებასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, რომლის ძირითადი ფუნქციებია: საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური პროცესების და გარემოს (ატმოსფერული ჰაერი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ზღვა, ნიადაგი) ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგის სისტემების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; გარემოზე დაკვირვების მონაცემთა დამუშავება; გარემოს მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება.
77. გარემოს ეროვნულ სააგენტოში მნიშვნელოვნად იზრდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშების ოდენობა, რომლებზედაც გეოლოგიური კუთხით უნდა მომზადდეს საექსპერტო დასკვნები, რიგ ობიექტებზე ექსპედიციური წესით ხორციელდება გასვლები, რისთვისაც სააგენტოსთვის გამოყოფილი რესურსები არასაკმარისია.
78. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა გარემოს ეროვნული სააგენტოს საქმიანობა, გაფართოვდა მონიტორინგის ქსელი, მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილობრივ განახლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხელსაწყო-დანადგარებით (მათ შორის - დონორების ფინანსური მხარდაჭერით), სააგენტო კვლავ განიცდის ფინანსური და ადამიანური რესურსების უკმარისობას.
79. ამ თვალსაზრისით დღის წესრიგშია გარემოს ეროვნული სააგენტოს მნიშვნელოვანი გაძლიერება მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში, რამაც უნდა უზრუნველყოს:

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების განვითარება;
  - შავი ზღვის მონიტორინგის გაუმჯობესება;
  - წყლის ხარისხისა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება;
  - ნიადაგის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესება;
80. გარემოს მონიტორინგის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ტყის ეროვნული აღრიცხვისა და ტყეთმონწყობის ღონისძიებების სტაბილურად განხორციელება, რომლის ერთ-ერთი მიზანი ტყეში მიმდინარე პროცესებზე სარწმუნო ინფორმაციის მიღება და მათი კონტროლია.
81. ასევე საგულისხმოა გარემოზე მიყენებული ზიანის მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესება. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის მიღება, რომელსაც შემოაქვს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ახალი, „დამბინძურებელი იხდის“ სისტემა და ითვალისწინებს დაზიანებული გარემოს აღდგენას ზიანის მიყენებამდე/ მიახლოებულ მდგომარეობამდე.

## საერთაშორისო თანამშრომლობა და მხარდაჭერა

82. საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით საფუძველზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ღონისძიებები ტარდება. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, შესაძლებელი ხდება საერთაშორისო გარემოსდაცვითი საუკეთესო გამოცდილების მოზიდვა და საქართველოს რეალობის შესაბამისად გათვალისწინება. საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღსანიშნავია, როგორც პოლიტიკის დაგეგმვის ნაწილში (არსებული მდგომარეობის შეფასების, სტრატეგიების, კონცეფციების, საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების და სხვა), აგრეთვე, მისი აღსრულების კუთხით (აღრიცხვა და მონიტორინგი, სადემონსტრაციო წარმოების მოწყობა, გარემოსდაცვითი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, სუფთა ტექნოლოგიების შექმნა/გადაიარაღება, ფინანსების მოზიდვა, სხვა). მათი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის 2021-2027 წლების სტრატეგიის, ნარჩენების მართვის, გარემოსდაცვითი შეფასებისა და ტყის ახალი კოდექსების შემუშავებისა და დანერგვის პროცესის დაწყება. მომზადდა გარემოსდაცვითი არაერთი სექტორული სტრატეგია თუ ანგარიში. ამჟამად პარლამენტში განსახილველად წარმოდგენილია ან შემუშავების პროცესშია არაერთი საკანონმდებლო პროექტი/ინიციატივა. ყოველივე მიუთითებს საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვან როლზე საქართველოს გარემოსდაცვითი სფეროს განვითარებაში. მეტიც, საერთაშორისო მხარდაჭერით მიმდინარე რეფორმების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელია, საქართველოში შეიქმნას მდგრადი განვითარებისა და საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკა-მაგალითები.

## გარემოსდაცვითი რესურსდაზოგვადი და სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება

83. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ბუნებრივ რესურსებზე დაწესებული მოსაკრებლების ოდენობა საგრძნობლად ჩამორჩება მისი რეალური ეკოსისტემური სერვისის ღირებულებას და ხშირ შემთხვევაში სიმბოლურია (წყლის რესურსით სარგებლობაზე, ქვა-ლორღზე და ა.შ. მოსაკრებლები). აღნიშნული გარემოება ბუნებრივი სიმდიდრის არასათანადოდ აღქმას და შესაბამისად, არარაციონალურ მოხმარებას განაპირობებს. მომხმარებელი არ არის ორიენტირებული, გონივრულად ხარჯოს ბუნებრივი რესურსი და გაითვალისწინოს მისი რეალური ღირებულება, რადგან ის თითქმის უსასყიდლოდ, სიმბოლურ ფასად იღებს მისი გამოყენების შესაძლებლობას.
84. ამ კუთხით, საჭიროა ტყის მერქნული და არამერქნული რესურსებით, ასევე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის რეგულირების პოლიტიკის შემოღება / გადახედვა და ბუნებრივი რესურსის მოხმარების ოპტიმალური საფასურის დადგენა.
85. მაგალითისთვის, სოჭის გირჩის მოსაკრებელი 1 კგ-ზე შეადგენს 60 თეთრს, რაც არარელევანტურად მცირე თანხაა და ხელს არ უწყობს ამ რესურსის რაციონალურ სარგებლობას და ადგილობრივი თუ სახელმწიფო შემოსავლების ზრდას. საგულისხმოა, რომ სოჭის გირჩის უნიკალური რესურსის ეფექტიანი განკარგვის მიზნით, ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ, უკვე დაწყებულია სოჭნარი კორომების თესლმსხმოიარობის შესწავლა და ყოველწლიური მოსაპოვებელი კვოტის დადგენა, რაც შემდგომში უნდა აისახოს ლიცენზირების პროცესზე. მოსაკრებელი ასევე მცირეა „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობისთვის, რომელიც 1 კგ-ზე შეადგენს 10 თეთრს. ახალ საფასო პოლიტიკაზე დაყრდნობით, უნდა შეიცვალოს აუქციონების არსებული სისტემა, რითაც სახელმწიფოც და ადგილობრივი მოსახლეობაც მეტ ფინანსურ სარგებელს მიიღებს.
86. მოსაკრებლის გადახდის მექანიზმები უნდა განისაზღვროს ტყის არამერქნული პროდუქტების მომცემი სახეობებისთვის (ასკილი, მაჟალო, მაყვალი, მოცხარი, ხუნწი, მოცვი, ძირტკბილა, პანტა, ტყემალი, ქინჭარი, ხარისშუბლა, კონახური, ფურისულა, ძმერხლი, კუნელი). ტყის ფართობების შერჩევა მიზანშეწონილია განხორციელდეს ტყის მართვის გეგმით და წლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე, ტყის მმართველი ორგანოს მიერ.
87. ამისთვის აუცილებელია დამატებითი ფინანსების მობილიზება ეროვნული სატყეო სააგენტოს, ველური ბუნების სააგენტოსა და გარემოს ეროვნული სააგენტოს გასაძლიერებლად.
88. თევზის რესურსებთან მიმართებაში, დღეის მდგომარეობით, ქაფშიის გარდა, თევზის არცერთი სახეობების მოპოვებაზე რეგულირების საფასური განსაზღვრული არ არის. იმისათვის, რომ დადგინდეს რეგულირების საფასური, საჭიროა შესაბამისი კვლევები, როგორც მარაგების დადგენის, ასევე ბაზრების თვალსაზრისით. ამ მხრივ გადასახედია ქაფშიის რესურსზე უკვე არსებული რეგულირების საფასურისა და მოსაკრებლის შესაბამისობაც.
89. ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას ყოველთვის არ ხდება რესურსდამზოგავი, სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა. შესაბამისად, ხშირია წყლის, ჰაერისა თუ ნიადაგის დაბინძურების სისტემური შემთხვევები. მაგ.: დაბალია ეკონომიკური საქმიანობის შედეგად დაბინძურებული წყლების გაუვნებლობის ტექნოლოგიებისა თუ წყლის განმეორებით

გამოყენების პრაქტიკა. იგივე ითქმის ჰაერის დაბინძურების მოქმედ პრაქტიკაზეც (ტრანსპორტით დაბინძურების, სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული დაბინძურება და ემისიები).

90. რესურსდამზოგავი და სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარების მისაღწევად. ბუნებრივი რესურსების მართვის აღრიცხვის, მართვისა და მონიტორინგის სისტემების გაუმჯობესება და სუფთა ტექნოლოგიების წახალისება უკეთეს გარემოს შექმნის ბიზნესისთვის და ადგილობრივ მოსახლეობას უბიძგებს განვითარებისკენ. სწორედ მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ბიზნესგარემო უზრუნველყოფს გარემოსთან მომხმარებლური დამოკიდებულებების ტრანსფორმირებას სარგებლის მომტანი რესურსების მიმართ ფროთხილი მიდგომებით.
91. აღსანიშნავია სუფთა ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ავტოტრანსპორტის შექმნის სტიმულირებაც. ავტომობილების განბაჟების მიმდინარე რეგულაციამ ელექტრო და ჰიბრიდულ ავტომობილებზე დაწესებული შეღავათებით, მნიშვნელოვნად წახალისა სუფთა ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ავტომობილების შექმნა. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ჰიბრიდული ავტომობილების იმპორტი. თუმცა, ელექტრომობილის განბაჟების გადასახადისგან სრულად გათავისუფლების მიუხედავად, მათი იმპორტი შედარებით მცირეა, რაც განპირობებულია აღნიშნული ავტომობილების არასათანადოდ განვითარებული მომსახურებით (სწრაფი დამუხტვის სადგურების სიმცირე, მომსახურების ცენტრების ნაკლებობა).

# დარგობრივი და უწყებათშორისი კრიორიტეტები

## საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წწ. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

92. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიამ საქართველოში შემოიტანა შეხედულებათა ერთობლიობა, რომელიც აყალიბებს ახალ ჩარჩოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და მოითხოვს გააზრებას ბიუჯეტირების პროცესში.
93. 2018 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების შერწყმის დადებით ფაქტორებს შორის სწორედ კოორდინაციის ერთიანი სისტემის შექმნა დასახელდა, რის გამოც სტრატეგიის განხორციელება ახალი სამინისტროს წარმატებული ფუნქციონირების პირდაპირ ინდიკატორად უნდა განვიხილოთ.
94. წარმოდგენილი რეკომენდაციების განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორებზე „COVID-19“-ის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრისა და მხარდაჭერის პროგრამების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში.

### ძირითადი მიზნაბები

95. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, ტერმინი „სოფლის მეურნეობა“ განმარტებულია ევროპული კლასიფიკატორით (NACE Rev. 2), რომელსაც ასევე იყენებს საქსტატი (NACE Rev. 2. სექცია A): სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა. ეს სექცია [A] მოიცავს მცენარეული და ცხოველური ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, კულტურების მოყვანას, ცხოველების მოვლა-მოშენებას, მერქნის მიღებას და მცენარეების მოყვანას, ცხოველებისა და თევზის მოშენებას და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მიღებას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ან ბუნებრივ გარემოში.
96. ტყის, როგორც სოფლის განვითარების ძირითადი კომპონენტის, დამკვიდრება ტრანსფორმაციულ ცვლილებად უნდა ჩაითვალოს საქართველოსთვის, სადაც ტყის რესურსი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალს უთანაბრდება. დოკუმენტი სამინისტროს კონკრეტულ ამოცანად უსახავს ტყეების მართვის ეკონომიკური მოდელების შემუშავებას, რის საფუძველზეც შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.
97. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წწ. სტრატეგიის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი 2021-2027 პერიოდისთვის შეადგენს არანაკლებ 2.0 მილიარდ ლარს. 2021 წელს დაბუსტდება 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმის 2021 წლის აქტივობები, ინდიკატორები და ბიუჯეტები.

98. 2021 წლის ბიუჯეტისთვის მომზადებული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი კვლევითი და ინსტიტუციური კომპონენტის გაძლიერებას ეხება, რასაც შემდგომ წლებში უნდა მოჰყვეს მეცნიერულად დასაბუთებული და განერილი პროგრამების დანერგვის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მობილიზაცია შესაბამისი პოლიტიკის დეპარტამენტებისთვის.
99. სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს როლი გადამწყვეტია არა მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, არამედ ქვეყნის რეგიონული და ეკონომიკური განვითარების პროგრამების განხორციელებაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და შესაბამის მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციით.
100. საუბარია საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მე-4 პრიორიტეტის შესრულებაზე: „ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე“, რომლის სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 851 მილიონ ლარს. აღნიშნული პრიორიტეტის ქვეშ განერილი ღონისძიებები ითვალისწინებს მცირე ზომის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის მოწყობას, ადგილობრივი კომპანიების საინვესტიციო შესაძლებლობების გაზრდას და ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას (კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მდგრადი გამოყენებით).
101. გარემოს დაცვის სამინისტროს სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტის ეფექტიანმა მუშაობამ და უწყებათაშორისი კოორდინაციამ ასევე უნდა მოამზადოს ბაზა მაღალმთიანი რეგიონების განვითარების 655 მილიონი ლარის ღირებულების ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდისთვის, რომელიც მიზნად ისახავს მაღალმთიან დასახლებებში მცირე და საშუალო მენარმეობისა და ფერმერული მეურნეობების განვითარებას;

## რეკომენდაციები

### გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- i. სახელმწიფომ კვლევით ინსტიტუტებთან პარტნიორობით უნდა შექმნას ხელშეწყობი გარემო ადგილობრივი მწვანე ბიზნესისთვის, შეიმუშაოს ნახალისების მექანიზმები, შექმნას ახალი სტარტაპ-მოდელები, უზრუნველყოს მხარდამჭერი პროგრამების დივერსიფიცირება და დაიცვას ბალანსი მხარდაჭერის პროგრამებში ადგილზე დარგების პრიორიტეტულობის მიხედვით.
- ii. აღნიშნულის განხორციელება მოითხოვს სტრატეგიული მიზნებისა და მიდგომების ინტეგრირებას სამოქმედო გეგმაში, ამოცანებისა და აქტივობების დონეზე; კერძოდ, სოფლის მეურნეობის ახალი, საკვანძო მიმართულებები უნდა შევიდეს ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნესის მხარდაჭერის იმ პროგრამებში, რომლებიც, უკვე წლებია, წარმატებით ხორციელდება, მათ შორის - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს (ARDA) მიერ. საწყის ეტაპზე საჭიროა საგრანტო, წამახალისებელი, საგანმანათლებლო, მარკეტინგის და სხვა მიმართულებით არსებული ათეულობით კონკრეტული პროგრამის კორექტირება—გაფართოება ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობის მიმართულებით და შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება (ეროვნული სატყეო სააგენტო).

iii. გთავაზობთ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმაში განწერილი პროგრამების ჩამონათვალს, რომელთა გაფართოებაც, კერძოდ, მათში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული არასასოფლო-სამეურნეო და სატყეო მიმართულებების ინტეგრირება, სწრაფი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტის მომტანი იქნება:

- ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დანადგარებით აღჭურვა;
- თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა;
- ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა;
- ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება;
- ხარისხის სქემების განვითარება ეროვნულ და რეგიონულ დონეზე;
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და პროდუქციის პოპულარიზაცია;
- ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ლონისძიებების გატარება;
- ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტის/ლიზინგის თანადაფინანსება;
- მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება (დამატებითი დეტალური ინფორმაცია იხილეთ ეკოტურიზმის ნაწილში);
- დაცულ ტერიტორიებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურით აღჭურვა;
- ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა (დამატებითი დეტალური ინფორმაცია იხილეთ ენერგეტიკის ნაწილში);
- ფაუნის ადგილობრივ ჯიშებსა და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება;
- მავნე მწერების წინააღმდეგ მცენარეთა დამუშავება.

102. ენერგეტიკისა და ტურიზმის საკითხები ასევე ჩაშლილია შესაბამის თავებში – „ენერგეტიკის სექტორი“ და „ეკოტურიზმი“.

103. ნიმუშისთვის, რეკომენდებულია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვის პროგრამის სახელწოდება შეიცვალოს „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვით“, რომელიც დამატებით, თანდათანობით, გააერთიანებს კოოპერატივებს მცენარეული და ცხოველური ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, მერქნის მიღებასა და გადამამუშავებაზე, ბუნებრივ გარემოში თევზის მოშენებაზე, დეკორატიული და ტყის ძვირფასმერქნიანი სახეობების სანერგეების მოწყობაზე, ტყის არამერქნული რესურსების წარმოებაზე, ენერგეტიკული პლანტაციების გაშენებაზე, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტიანობის ტექნოლოგიების დანერგვაზე, ტყის ტურისტულ-რეკრეაციულ სარგებლობაზე ორიენტირებულ საქმიანობებს.

## ენერგეტიკის სექტორი

104. საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფარგლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები უნდა გაატაროს ენერგოეფექტიანობისა და ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარების მიმართულებით. 2020-2030 წლებისთვის ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს კონკრეტული სამიზნე მაჩვენებლები საბოლოო ენერჯის მოხმარებაში განახლებადი ენერჯების წილის და ენერგოეფექტიანობით დაზოგილი ენერჯის მოცულობის შესახებ.
105. შუმა მნიშვნელოვან<sup>14</sup> ადგილობრივ განახლებად ენერგორესურსს წარმოადგენს, თუმცა, არ არსებობს კომპლექსური ღონისძიებებისგან შემდგარი სამოქმედო გეგმა ამ რესურსით სარგებლობის არამდგრადი პრაქტიკის შესაცვლელად. შესაბამისად, განახლებადი ენერჯების მიმართულებით, „მწვანე ბიუჯეტის პროექტის“ მიზანია საქართველოში შეშის, როგორც ენერგეტიკული რესურსის, მდგრადი მოხმარების ხელშეწყობისთვის განახლებული მარეგულირებელი ჩარჩოს ეფექტური განვითარებისა და აღსრულებისთვის საბიუჯეტო უზრუნველყოფის შეფასება.
106. ტყის მერქნულ რესურსზე ჭარბი მოთხოვნის შესამცირებლად, მერქნის არამდგრადი მოპოვებისა და მოხმარების პრაქტიკის დასაძლევად შემუშავდა ერთიანი სამოქმედო პოლიტიკა, რაც აისახა პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ეროვნულ სატყეო კონცეფციასა და ტყის ახალ კოდექსში<sup>15</sup>.

## ძირითადი მიზნაბაი

107. სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ შეშის, როგორც ენერგეტიკული რესურსის, მდგრადი მოხმარების ხელშეწყობის მიზნით, დაბალია კოორდინაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ორივე უწყებას კარგად ესმის პრობლემის არსი, არ აქვთ ერთობლივად შემუშავებული ხედვა და პროგრამა (სამოქმედო გეგმით) მის გადასაჭრელად.
108. საქართველოსთვის გამონვევად რჩება ალტერნატიულ ენერგორესურსებსა და ტექნოლოგიებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. ამ მხრივ, საქართველოში ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების, მათ შორის - ენერგოეფექტიანი ლუმელების, მზის წყალგამაცხელებლების, ასევე ალტერნატიული საწვავის (ბრიკეტების, პელეტების) გამოყენებას, საშუაშე მერქნის დაზოგვის თვალსაზრისით, დიდი პოტენციალი აქვს. განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონით გათვალისწინებული წამახალისებელი მექანიზმები ძირითადად ეხება ჰიდრო, ქარისა და მზის ენერჯის მასშტაბური განვითარების პროექტებს. თუმცა კანონში ბიომასა, როგორც განახლებადი ენერჯის წყარო, მკაფიოდ არის განმარტებული, რომლის მდგრადი წარმოებისა და მოხმარებისთვის ასევე შესამუშავებელია წამახალისებელი მექანიზმები. ენერგოეფექტიანობისა და განახლებადი ენერჯის ხელშეწყობის კანონები და სამოქმედო გეგმები არ შეიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს შეშის მდგრადი მოხმარების ან მისი ალტერნატივების ხელშეწყობის აქტივობების შესახებ. რეგიონებში გათბობისთვის,

<sup>14</sup> 2018 წელს ადგილობრივად წარმოებული ენერჯის 22% და მთლიანი შიდა ენერჯის მიწოდების 6% შემაზე მოდიოდა. საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი 2018, საქსტატი

<sup>15</sup> <https://info.parliament.ge/#law-drafting/17315>



ცხელწყალმომარაგებისთვის და საკვების მოსამზადებლად ენერგოეფექტიანი და განახლებადი ენერგოტექნოლოგიების დანერგვა-განვითარება ჯერჯერობით მხოლოდ დონორული პროგრამების ფარგლებში, მცირე მასშტაბით ხორციელდება.

109. ამას გარდა, ეფექტურად დაგეგმილი გაზიფიცირების პროგრამა შუშის არამდგრადი მოხმარების შემცირების ერთ-ერთ ალტერნატივას წარმოადგენს. 2019–2021 წლებში ქვეყნის 223 დასახლებულ პუნქტში, დამატებით 58 894 აბონენტის გაზიფიცირების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 209 მილიონი ლარი. შესაბამისად, 2021 წლისთვის 1,3 მლნ-ზე მეტი აბონენტი იქნება გაზიფიცირებული (საყოფაცხოვრებო სექტორის აბონენტთა 85%). დამატებით 966 მაღალმთიანი დასახლების გაზიფიცირებისთვის 2020 წლის დასაწყისში მომზადდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა<sup>16</sup>, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკურად არ არის გამართლებული არც ერთის გაზიფიცირება. კვლევის მიხედვით, გაზიფიცირება სახელმწიფოს სოციალური მიზნებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია მხოლოდ იმ დასახლებებში, სადაც გაზიფიცირების დანახარჯები შედარებით დაბალია, ხოლო ბიომასის რესურსი რთულად ხელმისაწვდომია. ასეთი დასახლებების რაოდენობა ძალიან მცირეა. გაზიფიცირების ეკონომიკური მიზანშეწონილობა (ხარჯსარგებლიანობა) განსაკუთრებით ვერ საბუთდება იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე და ფაქტობრივ მცხოვრებთა რაოდენობა ძალზე მცირეა.
110. ასევე გასათვალისწინებელია, რომ უკვე გაზიფიცირებულ დასახლებებშიც კი ძალიან დაბალია გაზის მოხმარება გათბობისთვის, ამის ძირითადი მიზეზები შუშის დაბალი ფასია გაზთან შედარებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მომავალი გაზიფიცირებისთვის მსხვილი საბიუჯეტო რესურსების მობილიზება შეიცვალოს გაზის სათბობად გამოყენების წახალისების პროგრამით უკვე გაზიფიცირებულ რეგიონებში.

## რეკომენდაციები

### ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- i. სამინისტრომ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ალტერნატიულ ენერგორესურსებზე, ენერგოეფექტიან და განახლებად ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის უზრუნველყოს ეფექტური წამახალისებელი ფინანსური და არაფინანსური მექანიზმების დანერგვა და საზოგადოების ცნობიერების გაზრდა ამ მიმართულებით;
- ii. გაზიფიცირების პროგრამის (2019-2021) ეფექტიანობის ანალიზის შესაბამისად, მიზანშეწონილია შემდგომი წლების პროგრამირებისას პრიორიტეტების გადახედვა. იქიდან გამომდინარე, რომ უკვე გაზიფიცირებულ დასახლებებშიც კი ძალიან დაბალია გაზის მოხმარება გათბობისთვის, სასურველია, ახალ პროგრამაში მსხვილი საბიუჯეტო რესურსების მობილიზება მოხდეს გაზის სათბობად გამოყენების წახალისების მიმართულებით უკვე გაზიფიცირებულ რეგიონებში; აგრეთვე, გამოთავისუფლებული რესურსები მიიმართოს განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტიანობის ღონისძიებების დაფინანსებისკენ. მათ შორის - სამინისტრომ ხელი შეუწყოს ენერგოეფექტიანი ღუმელების წარმოებასა და სერტიფიცირებას;

<sup>16</sup> Cost Estimation Study of Gas Pipeline Network and Alternative Systems for High-Mountainous Settlements of Georgia, USAID Energy Program, 2019.

iii. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების 206-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სუბსიდიების ანალიზს<sup>17</sup>, რეკომენდებულია, სამინისტრომ ყოველ მეორე წელს მოამზადოს ენერგეტიკის დარგში (განსაკუთრებით წიაღისეული საწვავის მოპოვების, წარმოებისა და მოხმარების ქვესექტორებში) სუბსიდიების შესახებ ანგარიში და გახადოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

### **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

- i. მოამზადოს და ბიუჯეტში გაითვალისწინოს კონკრეტული პროგრამები ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.
- ii. უზრუნველყოს მერქნის, მათ შორის - კომერციული შეშის (კომერციული მიზნით გამოყენებული შეშის) ფასის შესაბამისობა მის რეალურ ღირებულებასთან; გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტმა მკაცრად გააკონტროლოს სოციალური შეშის უკანონო მოხმარება კომერციული ობიექტების მიერ. კერძო კომპანიებს მიეცეთ შეშის კომერციულ ფასში შეძენის უფრო მოქნილი შესაძლებლობები. კერძო სექტორში არსებული მოთხოვნა შეშაზე შეიძლება გახდეს საქმიანი ეზოების მდგრადობის ერთ-ერთი კომპონენტი;
- iii. შეიცვალოს ნარჩენი ბიომასის ტარიფი, რომელიც დღეს მასზე გაცილებით დიდი ეკონომიკური ღირებულების ცოცხალ ხეებზე ძვირია. აღნიშნული ქმნის ბარიერს ბიზნესინიციატივებისთვის და მოსახლეობას აიძულებს ჭრისკენ და არა – ტყეებში ნარჩენი ბიომასის გამოყენებისკენ, რომელიც ყოველწლიურად დიდი ოდენობით გროვდება და ხანძრისა და მავნებელ-დაავადებების რისკებს წარმოშობს. ამ მიზნით, დადგინდეს ტყის ფონდის ტერიტორიებიდან ნარჩენი მყარი ბიომასის გამოტანის რენტაბელური ფასი, რაც ხელს შეუწყობს ამ რესურსის ათვისებას და ტყის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- iv. 2021–2022 წლებისთვის უზრუნველყოს ARDA-ს მიმდინარე პროგრამების გადახედვარედაქტირება და მათში ენერგეტიკული კომპონენტების (ტყესთან და ბიომასის ენერგოპროდუქტების წარმოება) ინტეგრირება; კერძოდ, ენერგეტიკის მიმართულებით გაფართოების მიზნით, გადაიხედოს შემდეგი პროგრამები: ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა, თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა, ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება, ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება, მერქნული რესურსის მართვა, ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა;
- v. ARDA-ს მიერ განხორციელებული „სოფლის განვითარების პროგრამის“ ენერგეტიკული კომპონენტის ანალიზისა და ნასწავლი გამოცდილების (lessons learned) საფუძველზე, რომელიც ევროკავშირის (EU) „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) დაფინანსებით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში ხორციელდება, მოამზადოს მისი ანალოგი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო 2022 წლიდან სხვა რეგიონებშიც დაიწყოს მისი განხორციელება;
- vi. ხელი შეუწყოს სატყეო პლანტაციური მეურნეობების განვითარებას და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად წაახალისოს ენერგოკოოპერატივები;

<sup>17</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

- vii. შეიქმნას სატყეო გზების სტანდარტი, რაც უზრუნველყოფს მშენებლობისა და აღდგენის პროცესში სტიქიებისა და უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებას. სატყეო სააგენტოს, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოსახლეობის ენერგოუზრუნველყოფაში, გამოეყოს ადეკვატური ფინანსური რესურსი გზების მოწყობისა და მართვისთვის; მათ შორის - დახურული ტყეკაფებისკენ მიმავალი სატყეო გზების ჩაკეტვა-რემედიაციისთვის.

### **ადგილობრივი თვითმმართველობები**

- i. მუნიციპალიტეტებში მწვანე ენერგოინიციატივების ხელშეწყობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესრულების მიზნით, ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით (MoESD, MoRDI, MEPA, MOF) მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში გაიწეროს თვითმმართველობების ინსტიტუციური გაძლიერების პროგრამები, რომელთა ფარგლებშიც შეიქმნება კლიმატის ცვლილებისა და ენერგეტიკის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზებული სტრუქტურული დანაყოფები.

### **საქართველოს მთავრობა**

- i. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი კოორდინაციით აუცილებელია, რომ საჯარო დაწესებულებებში (მათ შორის - ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში), სადაც შეშა მოიხმარება, შესყიდვებისას პრიორიტეტი მიენიჭოს ალტერნატიულ სათბობს, რომელიც ნარჩენი ბიომასისგან იწარმოება.
- ii. შემუშავდეს და დამტკიცდეს მოსახლეობისა და საჯარო უწყებების სათბობი რესურსით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელშიც კონკრეტული ღონისძიებები და ფინანსური რესურსები იქნება გათვალისწინებული; ხელი შეეწყოს მყარი ბიომასის სათბობ რესურსად წარმოების და მოხმარების სრული ჯაჭვის მდგრად განვითარებას, რაც მოიცავს: ბიომასის ნარჩენების მოგროვებას, გადამუშავებას და ენერგოპროდუქტის (პელეტები, ბრიკეტები, ნაფოტები და სხვა) წარმოებას.

## **ეკოტურიზმი**

- 111. დღეს არსებული პანდემიის პირობებში განსაკუთრებით დიდი ზიანი მიადგა ტურისტულ სექტორს. 2003 წლის SARS-ის პანდემიამ უკვე აჩვენა, რომ ტურიზმის სექტორს ძალიან სწრაფი რეაბილიტაცია ახასიათებს. თუმცა, ამ მხრივ, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მხარდამჭერი ქმედებები, როგორც საგადასახადო თუ ლიკვიდობის უზრუნველყოფის, ასევე შესყიდვების სერვისების კუთხით, მაინც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია სექტორის გადასარჩენად.

## **ძირითადი მიზნაბაი**

- 112. ტურიზმის სხვადასხვა სახეობიდან ეკოტურიზმი ქვეყნის ადგილობრივი გარემოს პოპულარიზაციის და ქვეყნის იმიჯის ამაღლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მას აქვს პოტენციალი, რომ საქართველოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ამ პროცესის

მონაწილე გახადოს. ამჟამინდელ სახელმწიფო ბიუჯეტში ეკოტურიზმის განვითარება ნახსენებია, უმთავრესად APA-ს ნაწილში. ეკოტურიზმის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ძირითადად ადგილობრივი თემის ეკონომიკურ მხარდაჭერასა და ტურიზმის წარმოების პროცესში მათსრულ ინტეგრირებას მოიცავს, რეკომენდებულია, ეკოტურისტული პროდუქტების განვითარებაში საბიუჯეტო თანხები მიმართული იყოს ტურიზმის განვითარებაში ჩართული ყველა სახელმწიფო უწყებისკენ.

113. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ისე NFA-ს, თვითმმართველობებისა და დანიშნულების მართვის ორგანიზაციების (DMO) როლი. DMO-ები უკვე ოპერირებენ არაერთ რეგიონში (კახეთი, სამეგრელო, სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი). მათი წარმატება განაპირობებს ინიციატივის რეპლიკაციას დარჩენილ რეგიონებშიც. პროცესები უკვე დაწყებულია მცხეთა-მთიანეთში.

114. NFA-ს როლს ტურიზმის განვითარებაში რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ბოლო წლებში იდენტიფიცირებული და მარკირებული საფეხმავლო ბილიკის 70 % სწორედ ტყეებზე გადის. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული ტერიტორიების მართვის ორგანოს გაძლიერება ტურისტული მარშრუტების მართვისთვის. ასევე მიზანშეწონილად მივიჩნევთ აღნიშნული კომპეტენციების გადანაწილებას DMO-ებზე;
- კურორტების განვითარების მაღალბიუჯეტური პროგრამების განხორციელების პროცესში კურორტების ძირითადი შემადგენელი კომპონენტის – ტყეების ჩართვის შედეგად, გაიზრდება განვითარების პოტენციალი, შეიქმნება ინფრასტრუქტურა მაღალი ღირებულების ტურიზმისთვის და დაცული იქნება კურორტების არსებობის ერთ-ერთი მთავარი პირობა – ბუნებრივი ეკოსისტემები შენარჩუნება და მართვა;
- სატყეო ფონდში არსებობს ათეულობით დასასვენებელი ადგილი, რომლებიც სულ ოციოდე წლის კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურის ე.წ. ბრაუნფილდებს<sup>18</sup> წარმოადგენს (ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტები, „პიონერთა ბანაკები“, დედათა და ბავშვთა პანსიონატები, ელიტარული დასასვენებელი სახლები). აღნიშნულ ტერიტორიებს აქვს მსხვილი საინვესტიციო პოტენციალი;
- ტყეების, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის, მართვა (იჯარით ან მართვის უფლებით გაცემა) ახალ შესაძლებლობებს ქმნის ქვეყანაში სამთო ტურიზმის განვითარებისთვის და მოიტანს ფისკალურ შედეგებს მართვის ორგანოსთვის;
- სახელმწიფო და საერთაშორისო მხარდაჭერის წარმატებულმა პროგრამებმა მნიშვნელოვნად იმოქმედა დაცული ტერიტორიების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე; თუმცა შექმნა გარკვეული დიფერენციაცია სხვა დასახლებებთან, სადაც ასევე დიდია ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობები. უახლესი კვლევების მიხედვით, ტურისტულ საქმიანობაში ოჯახის ჩართულობაზე დაცული ტერიტორიების სიახლოვეს მცხოვრებთა - 23%, სხვა ტერიტორიებზე მცხოვრებთაგან კი, გამოკითხულთა მხოლოდ 3% მიუთითებს. პროგრამების ეფექტს წარმოაჩენს განსხვავება სხვა სექტორებშიც, რომელიც ქმნის ტურიზმისთვის დამატებით ღირებულებას. მაგალითად, ტყის არამერქნულ რესურსს დაცული ტერიტორიების სიახლოვეს მცხოვრებთაგან აგროვებს გამოკითხულთა 31%, სხვა ტერიტორიებზე მცხოვრებთაგან კი - რესპონდენტების 16%.

<sup>18</sup> ყოფილი ან არაფექტურად გამოყენებადი (ხშირად სანარმოო) ტერიტორია, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ხელმეორედ.

## რეკომენდაციები

- i.** ეკოტურისტული ბილიკების მოსაწყობად საჭირო რეგლამენტის შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, რომელშიც ასევე ასახული იქნება მათი მართვის გეგმაც (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო);
- ii.** არსებული საფეხმავლო და საგანმანათლებლო ბილიკების განვითარება და გადაგეგმვა უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინებით (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო);
- iii.** ახალი ეკოტურისტული ბილიკების მოკვლევა–დაპროექტება და შესაბამისი სათავგადასავლო და შემეცნებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო);
- iv.** ეკოტურისტული რესურსების შესახებ ინფორმაციის განთავსება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ონლაინპლატფორმაზე (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია);
- v.** მთავრობის მიერ ეკოტურისტული რესურსების (ტბები, ჩანჩქერები, მღვიმეები, მწვერვალები და სხვ.) ინვენტარიზაციის გეგმის შემუშავება მუნიციპალიტეტების მიხედვით, უფლებამოსილებებისა და ვადების განსაზღვრა (საქართველოს მთავრობა);
- vi.** ერთიანი მუნიციპალური პროგრამის მომზადება წყლის ობიექტებთან არსებული სტიქიური რეკრეაციული ზონების შეფასებისა და რეკომენდებულ და აკრძალულ ზონებად კატეგორიზაციის მიზნით; ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, როგორც რეკრეაციული, ასევე ამკრძალავი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად; 2022 წლამდე მსგავსი ტიპის ობიექტებზე განსაკუთრებით მაღალი რისკის ზონების გამოყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა (ადგილობრივი თვითმმართველობები – ცენტრალურ უწყებებთან თანამშრომლობით (შსს, MoRDI, MoESD, MEPA);
- vii.** საქართველოს მთავრობის დადგენილების დამტკიცება წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის შესახებ - სფეროში კომპეტენციების, უსაფრთხოების დაცვის ზომების, შეზღუდვებისა და პასუხისმგებლობების დასადგენად; დადგენილებით განსაზღვრული პასუხისმგებლობების ბიუჯეტირება და გათვალისწინება BDD-ში (შსს, საქართველოს მთავრობა);
- viii.** ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული SMS შეტყობინების სისტემის შექმნა ტურისტულ ლოკაციებზე პროგნოზირებული ბუნებრივი საფრთხეების შესახებ ადრეული გაფრთხილებისთვის. სისტემის დანერგვა და სერვისების განხორციელება (შსს – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური);
- ix.** სახანძრო–სამაშველო დანაყოფების გადამზადება სამაშველო ოპერაციების დაგეგმვა–განხორციელების, ასევე – რეკრეაციულ ობიექტებსა და საქართველოს მასშტაბით მაღალი რისკის სამოგზაურო ზონებში უსაფრთხოების კონტროლის განხორციელების მიმართულებით (შსს);

- x.** უსაფრთხოების სახელმძღვანელოს მომზადება ისეთი ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებისთვის, რომელიც ეხება რეკრეაციას წყლის ობიექტებზე – ზღვის, ტბისა და მდინარეების სანაპირო პლაჟებით სარგებლობა, ჯომარდობა, კანიონინგი, კაიაკინგი და სხვ. (საქართველოს მთავრობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);
- xi.** ბრენდირებული ეკოტურისტული მარშრუტების შექმნა ადგილობრივი თემის აქტიური მონაწილეობით (მაგალითისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მაჭახელას ხეობაში არსებული მარშრუტები, რომლებიც მოქცეული ერთი ბრენდის ქვეშ - „ჩემი მწვანე სამყარო“ (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო);
- xii.** საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ის მიხედვით განსაზღვრული გეოპარკების შესაქმნელად საჭირო სამუშაოების განხორციელება, კერძოდ: 2022 წლამდე გეოპარკის შესაქმნელად საჭირო შესაბამისი გეოგრაფიული არეალების განსაზღვრა, მათი შესწავლა და მაღალი პოტენციალის მქონე არეალში საპროექტო სამუშაოების დაწყება (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო);
- xiii.** საკურორტო და რეკრეაციული ტყეების იდენტიფიცირება, საიჯარო ხელშეკრულებებისა და მონიტორინგის მექანიზმების მომზადება; ტურისტულ-რეკრეაციული ტყეების იდენტიფიცირების, გაიჯარებისა და მონიტორინგის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცება (ეროვნული სატყეო სააგენტო);
- xiv.** ამ მიზნით, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ იხელმძღვანელოს წარმატებული გამოცდილებით, რომელიც დაცული ტერიტორიების სააგენტომ დააგროვა რეკრეაციული ფართობების გაიჯარებისა და კერძო ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით, დამტკიცდეს სახელმძღვანელო დოკუმენტი საქართველოში ტურისტულ-რეკრეაციული ტყეების იდენტიფიკაციისა და მათი მართვის შესახებ, რომელიც, ფუნქციურად, საქართველოს მთავრობის №125 დადგენილების ანალოგი იქნება, დაცული ტერიტორიების უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემისას სანყისი სააუქციონო ფასის განსაზღვრისა და აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე;
- xv.** სატყეო ტერიტორიების ჩართვა კურორტების განვითარების პროგრამებში და სივრცითი მოწყობის გეგმებში (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო);
- xvi.** ეკოტურისტული კონფერენციის ორგანიზება ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე, ყოველწლიური კონფერენციის ჩატარების პრაქტიკის ჩამოყალიბება (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო);
- xvii.** ეკოტურიზმის საგანმანათლებლო სერვისების შემუშავება ეკოტურისტული ინტერპრეტირებული სასწავლო მასალების გზით. შემეცნებითი სასწავლო პროდუქტების შექმნა. ეკოტურიზმის კომპონენტების ინტეგრირება სკოლამდელი და საშუალო განათლების პროგრამებში, შესაბამისი საგნების ფარგლებში ან/და დამოუკიდებელი სასწავლო მოდულის სახით (სსიპ გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო);

- xviii.** კერძო სექტორის წახალისება ეკოტურისტული სტანდარტების დანერგვისთვის, ეკომენარმეების, განსაკუთრებით რეგიონებში არსებული ტრადიციული რენჯის ოსტატების მხარდაჭერა, მათი ტურისტულ მომსახურებად გარდაქმნა და ერთიან ეკოტურისტულ პროდუქტში ინტეგრირება (საქართველოს მთავრობა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აწარმოე საქართველოში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია).

## მწვანე ბიზნესი

115. სახელმწიფოს მხრიდან მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა საერთაშორისო დღის წესრიგში ყოველწლიურად უფრო ხელშესახები ხდება. ევროკავშირთან ასოცირებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების (DCFTA) პირობების დანერგვის მიზნით, ბიზნესს საშუალება ეძლევა, მოიზიდოს, როგორც ტექნიკური დახმარება (სუფთა და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიები, გადაიარაღება, ახალი საწარმოო ხაზები, ექსპერტიზა), ასევე გაიუმჯობესოს ფინანსებზე წვდომა საფინანსო ინსტიტუტებიდან და სხვა დონორი ორგანიზაციებიდან.
116. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სფეროში გასულ წლებში მიღებული რეგულაციების იმპლემენტაცია და პროგრამების შემუშავება მწვანე ტექნოლოგიების წარმოებისა და გამოყენების წამახალისებელი მექანიზმების დასაწერად.
117. გამონვევად რჩება მწვანე ბიზნესის პრინციპების შესახებ ბიზნესსექტორის ცნობიერების არასათანადო დონე. მათ შორის - ბიზნესის მიერ უკვე არსებული სტატუს-კვოდან (Business as Usual – BAU) მწვანე პრაქტიკაზე გადასასვლელად. პრობლემურია გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და მწვანე ბიზნესის ეკომარკირების საკითხის რეგულირება და აღსრულების მექანიზმების შემუშავება/გაუმჯობესება.

## რეკომენდაციები

მწვანე ბიზნესის ხელშესაწყობად მიზანშეწონილია საქართველოს პარლამენტში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს შემდეგი მიმართულებებით:

- მწვანე ბიზნესის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება;
- მწვანე ბიზნესის წარმოების შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფა და მათი აღსრულების უზრუნველყოფა;
- მწვანე ბიზნესპრაქტიკის შესახებ და დამხმარე ინსტრუმენტებზე (ტექნიკურ-ფინანსური) საინფორმაციო კამპანიების გააქტიურება;
- მწვანე ბიზნესად გარდაქმნის რისკების მინიმუმადე შემცირება სხვადასხვა დაზღვევის მექანიზმების გამოყენებით;
- წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება მაღალი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ბიზნესკულტურის ჩამოყალიბებისთვის.

## გარემოსდაცვითი განათლება

118. საქართველოში ბოლო პერიოდში ამოქმედებული ახალი საკანონმდებლო ინიციატივებით გაფართოვდა გარემოსდაცვითი მოთხოვნები, უფრო მეტიც, გაჩნდა ახალი პროფესიები (გარემოსდაცვითი მმართველი), ან მთელ რიგ შემთხვევაში გაიზარდა რიგ პროფესიებზე მოთხოვნა (ახალი სატყეო კოდექსით მეტყვევებზე), რაც სპეციფიკურ გარემოსდაცვით ცოდნას მოითხოვს. ამასთან, განუწყვეტლივ უფრო მკაფიოდ იზრდება საზოგადოების როლი და პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის სფეროში.

## ქირითადი მიზნაბები

119. ამჟამად მოქმედი ფორმალური განათლების სისტემა მათ ხელთ არსებული შეზღუდული რესურსების გამო ვერ პასუხობს გარემოსდაცვითი განათლების კუთხით გაზრდილ მოთხოვნებს (როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით), თუმცა გარკვეული ქმედებების განხორციელება ამ კუთხითაც შეიმჩნევა.

120. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არა მარტო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლებისა ცენტრის საქმიანობა, არამედ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სკოლის, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო სექტორის წახალისება გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლების კუთხით. მნიშვნელოვანია, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლების სისტემის განვითარება და ამ მხრივ საჭირო ფინანსური რესურსების გამოყოფა.

## რეკომენდაციები

### გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- i. გარემოსდაცვითი პროფესიების პოპულარიზაციის საინფორმაციო კამპანიების, მათ შორის - შეხვედრები, ლექციები და ღონისძიებების მხარდაჭერა;
- ii. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება გარემოსდაცვითი პროგრამებისთვის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის დადგენილება №131-ის საფუძველზე. რეგულაცია ითვალისწინებს იურიდიული პირის თუ ავტორიზებული სასწავლო დაწესებულებების ბაზაზე არსებული მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების აკრედიტაციას და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემას, რაც დამატებითი სტიმული იქნება დარგით დაინტერესებული პირებისთვის, გადამზადდნენ გარემოსდაცვითი მიმართულებით.
- iii. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა გადამზადება „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების“ დამხმარე სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა: ტყის მდგრადი მართვა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება, ბიომრავალფეროვნება, კლიმატის ცვლილება, მდგრადი განვითარების მიზნები და სხვ.;



- iv. გარემოსდაცვითი ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა: პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საცავში მე-19 საუკუნიდან დღემდე არსებული მასალების გაციფრულება. ერთიან ელექტრონულ პორტალზე თავს მოიყრის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული 20 000-ზე მეტი დასახელების რესურსი ეკოლოგიისა და სოფლის მეურნეობის შესახებ, რომელთა დიდი ნაწილი ბექდურ ფორმატშია და არ არის ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვის.

## მწვანე შესყიდვები

- 121. მწვანე შესყიდვების პრაქტიკა საქართველოში თანდათანობით ინერგება, ამის მაგალითებია: მუნიციპალური სატრანსპორტო პარკების განახლება, ტექნოლოგიების განახლება, ენერგოეფექტიანობა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში, ზოგადად, სამშენებლო მოთხოვნების გაუმჯობესება (ინსოლაციის სისტემები, ცენტრალური გათბობის/გაგრილების/აერაციის, თანამედროვე განათების სისტემების დანერგვა, მშენებლობის დროს წარმოქმნილი ნარჩენების ეფექტური მართვა).
- 122. პროცესს ასევე ხელს უწყობს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გაწეული ძალისხმევა, რაც სხვადასხვა საქონლისა თუ მომსახურების შესყიდვისას სუფთა ტექნოლოგიებზე უპირატესობას გულისმობს.
- 123. თუმცა სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი ნაწილი მაინც საქონლისა და მომსახურების ყველაზე დაბალი შემოთავაზებული ფასის მიხედვით ხდება. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია გათვალისწინებული ისეთი კრიტერიუმები, როგორცაა: ექსპლოატაციის ვადა და საოპერაციო ხარჯები (ენერგოეფექტურობის, რესურსეფექტიანობის, შეკეთების), გარემოსთვის მიყენებული ზიანი. მწვანე შესყიდვების დღეისთვის ერთადერთ სისტემურ მაგალითს ქალაქის შესყიდვა წარმოადგენს.

## რეკომენდაციები

- i. საქართველოს მთავრობამ, ეროვნული და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, წარმოადგინოს ხედვა მწვანე შესყიდვების დარეგულირებისა და დანერგვის მიმართულებით, როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ დონეზე – მწვანე შესყიდვების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიზნით;
- ii. მომზადდეს მწვანე შესყიდვების პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. .

## კლიმატის ცვლილება

124. საქართველოში კლიმატის ცვლილებას აქვს მკვეთრად უარყოფითი ეკონომიკური ეფექტები. ექსპერტების შეფასებით, საადაპტაციო ზომების გარეშე ეკონომიკურმა ზარალმა 2021-2030 წლებში შესაძლოა 25-30 მილიარდ ლარს მიაღწიოს; საადაპტაციო ღონისძიებების ღირებულება კი 2.5-3 მილიარდი ლარის ფარგლებში მერყეობს<sup>19</sup>.
125. კლიმატის ცვლილების კუთხით განსაკუთრებით მოწყვლადია ტყის ეკოსისტემები, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონები. მაგ.: 1960-2010 წლებში ბორჯომ-ბაკურიანის ტერიტორიაზე ზაფხულის ტემპერატურამ დაახლოებით 1°C-ით მოიმატა, ხოლო ნალექებმა 14%-ით დაიკლო.<sup>20</sup> კლიმატური პირობების ამგვარი ცვლილება ზრდის, როგორც ტყის ხანძრების, ასევე მავნებელ-დაავადებების გავრცელებისა და დეგრადაციის რისკს.
126. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მექანიზმების გააზრება და დანერგვა განსაკუთრებით აქტუალურია შემდეგი დარგების მართვაში: სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების მართვა (წყლის რესურსებზე გაზრდილი მოთხოვნა, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმოება, გახშირებული სტიქიებიდან მიღებული დანაკარგები); ენერგეტიკა (შემცირებული ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, მზის, ქარისა თუ სხვა ალტერნატიული ენერჯის წარმოების დაჩქარების საჭიროება, ენერგოეფექტურობის დანერგვა); ჯანდაცვა (მოსალოდნელი გაზრდილი ავადობების პრევენცია და ეფექტური მართვა) და ტრანსპორტი (სუფთა ტექნოლოგიებზე გადასვლის მოთხოვნა/ვალდებულებები).
127. საქართველო არის კლიმატის ცვლილების სფეროში რამდენიმე საერთაშორისო ვალდებულების წევრი, რაც მოიცავს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის, კიოტოს პროტოკოლის, დოჰას დამატებისა და პარიზის შეთანხმების მიზნების მისაღწევ შესაბამის საკითხებს, კონკრეტულ ვადებში გაწერილ პირობებს, მათ შორის - მიტიგაციის მიმართულებით. პარიზის შეთანხმებასთან შეერთებით საქართველომ აიღო ვალდებულება, შეზღუდოს ემისიები უპირობოდ, 15%-ით საბაზისო დონესთან შედარებით, ხოლო საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში, შეზღუდვის წილი 25%-მდე გაზარდოს. გარდა ამისა, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულია გაეროს საერთაშორისო დღის წესრიგთან თავსებადი რიგი ვალდებულებების დაკმაყოფილება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეროვნული ძალისხმევის რეალიზებისთვის.

<sup>19</sup> 2018. "კლიმატის ცვლილება, პრობლემები და პრიორიტეტები". საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 121-124.

<sup>20</sup> 2019. "კლიმატის ცვლილების მიზეზები და შედეგები". 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 158-159.

## რეკომენდაციები

მოხდეს კლიმატთან დაკავშირებული საბიუჯეტო რესურსების იდენტიფიცირება, კლასიფიკაცია და მობილიზება შემდეგი მიმართულებებით:

- i. **ტრანსპორტი** - მუნიციპალური ტრანსპორტისა და ძრავის გარეშე გადაადგილების საშუალებების (მაგ.: ველოსიპედები) განმავითარებელი საქმიანობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით;
- ii. **ენერგეტიკა** - ელექტროენერჯის ქსელის გამაუმჯობესებელი საქმიანობა განახლებადი ენერჯორესურსების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფით საქართველოს ქსელის განვითარების 10-წლიანი გეგმის (2019-2029) შესაბამისად; მზის ენერჯის ათვისების ხელშემწყობი ღონისძიებების მხარდამჭერი საქმიანობა, მათ შორის - მზის ელექტროსადგურის მშენებლობა;
- iii. **შენობებში ენერჯის მოხმარება** - შენობებში ენერჯის მოხმარება - შენობების სერტიფიცირების სქემის შემუშავებელი საქმიანობა, შენობებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა კლიმატური პარამეტრების შესაბამისი თბოიზოლაციის უზრუნველყოფის მიზნით; მოწყობილობებისთვის სტანდარტების, ნორმების და მარკირების სქემების შემუშავებელი საქმიანობა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესყიდვის ან შეცვლისას, მოხმარებელთა ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით; სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ინიცირების საქმიანობა, რაც დანერგავს ენერჯოეფექტური მასალა-მოწყობილობების შეძენის პრაქტიკას; საჯარო და არასაჯარო შენობების ეფექტიანი განათების სისტემების პროექტების მხარდამჭერი/ხელშემწყობი საქმიანობა, ვარჯარა და ჰალოგენნათურების ჩანაცვლების მიზნით;
- ix. **ნარჩენების მართვა** - ოფიციალური, სტანდარტებთან შეუსაბამო და სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა; რეგიონული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობისთვის საჭირო საქმიანობა;
- v. **ტყის მართვა** - ტყის მდგრადი მართვის გეგმებისა და დეგრადირებული ტერიტორიების (მ.შ. ნახანძრალი ტყეების) აღდგენის პროექტების შემუშავება.

# ახალი საკანონმდებლო ინიციატივები

## გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი

128. გარემოსდაცვითი შეფასების 2017 წლის 1-ლი ივნისის კოდექსით, დარეგულირდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ექსპერტიზის ჩატარების პროცედურების სამართლებრივი საკითხები. კოდექსი ახალ მოთხოვნებს აწესებს ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტთან და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე.
129. ამჟამად აქტუალურია კოდექსის განხორციელებისთვის საჭირო ინსტიტუციური შესაძლებლობების საკითხი. კოდექსმა დააწესა მულტიუნწყებრივი ძალისხმევის ახალი მოთხოვნები, რისთვისაც კომპეტენტური უწყებების შესაძლებლობები ამ ეტაპზე ვერ პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს.
130. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი სრულად ითვალისწინებს ესპუს კონვენციის „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“, ამავე კონვენციის „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების“ ოქმისა და ორჰუსის კონვენციის „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ პრინციპებს, რაც ესპუს კონვენციაზე მიერთების სამართლებრივ საფუძვლებს ქმნის. ესპუს კონვენციაზე მიერთების კუთხით, საქართველოს უკვე აქვს გაცხადებული ვალდებულება, თუმცა, ტრანსსასაზღვრო საკითხების გათვალისწინებით, დღემდე ის არ არის უზრუნველყოფილი.

## ბუნებრივი საფრთხეებით/სტიქიური მოვლენებით გამოწვეული კატასტროფების მართვა

131. საქართველოს რეგიონული განვითარების 2018–2021 წლების პროგრამის მიხედვით, ბუნებრივი საფრთხეებით/სტიქიური მოვლენებით გამოწვეული კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებული საჯარო ბიუჯეტი 521 მილიონი ლარია. აღნიშნული რესურსით, საქართველოს მთავრობა გეგმავს ეკონომიკური განვითარების საფრთხეების აღმოფხვრას, ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის გაზრდას და სტიქიების რისკების მართვის სისტემის მოდერნიზაციას.

ძირითადი საქმიანობები მოიცავს ნაპირსამაგრი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობას და კალაპოტების განმენდას; ასევე ხორციელდება ბუნებრივი საფრთხეების მონიტორინგი, პროგნოზირება და რეკომენდაციების შემუშავება საადაპტაციო ღონისძიებებისთვის.

132. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ანალიზი და რეკომენდაციები გათვლილია დადებით ფისკალურ შედეგზე და გულისხმობს არსებული ფინანსური რესურსების რაციონალურ გადანაწილებას მათი დაზოგვის, დამატებითი ხარჯების გამოთავისუფლებისა და კატასტროფებისგან გამონვეული ზიანის შემცირების მიზნით.
133. რეკომენდაციები ეყრდნობა კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც, „რისკის მართვა უნდა ემყარებოდეს მის გააზრებას, ყველა განზომილების“, მათ შორის - „საფრთხის მახასიათებლების და გარემოს დაცვის გათვალისწინებით“. სტრატეგია ასევე რეფერირებას აკეთებს კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამაზე (2015-2030) და წარმატებული განხორციელების მექანიზმად სექტორებს შორის მჭიდრო კოორდინაციას განიხილავს.

## ძირითადი მიზნაბები

134. ბუნებრივი საფრთხეებით/სტიქიური მოვლენებით გამოწვეული კატასტროფების მართვის დღევანდელი სისტემა არ განიხილავს სტიქიის რისკფაქტორებს და სახელმწიფო ბიუჯეტი ძირითადად ორიენტირებულია სტიქიის შედეგებზე. საადაპტაციო ღონისძიებებისათვის აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს ვიწრო გეოგრაფიული არეალი. ნაპირსამაგრების მოწყობასა და კალაპოტების განმენდაზე პასუხისმგებელი უწყებები ოპერირებენ მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებისა და ადმინისტრირების საზღვრებში (დასახლებული პუნქტების და ინფრასტრუქტურული ობიექტების სიახლოვეს), ხოლო სტიქიის ფორმირების ზონების განმკარგავ და მმართველ სტრუქტურებს (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ეროვნულ სატყეო სააგენტოს) არ გააჩნიათ მანდატი და რესურსი სტიქიების პრევენციისთვის.
135. შესაბამისად, საბიუჯეტო რესურსი მუდმივად ერთსა და იმავე ადგილებში, ე.წ. რისკის ზონებში, მუნიციპალური მიწების საზღვრებში იხარჯება და ვერ აღწევს ბუნებრივი საფრთხეებით/სტიქიური მოვლენებით გამოწვეული კატასტროფების ფორმირების ზონამდე, სადაც სტიქიის კერებია და მუდმივი ჩაურევლობის გამო სტიქიური პროცესები სულ უფრო ძლიერდება. პროპორციულად მცირდება მდინარის ქვემოწელში ნაპირსამაგრი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობისა და კალაპოტების ნმენდის ეფექტი. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ სატყეო ტერიტორიებისა და სახელმწიფო სათიბ-საძოვრების მართვის ორგანოები უფლებამოსილების განხორციელების პროცესში სრულად ვერ ახერხებენ სტიქიის რისკების შეფასებას და ქმნიან დამატებით ფაქტორებს რისკის გასაზრდელად.
136. წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი ქვეყანაში სააუზე მართვის სისტემის ჩამოყალიბების პროცესში ადგენს მდინარეთა აუზებში წყალდიდობების რისკების წინასწარი შეფასების, საფრთხისა და რისკის რუკების მომზადებისა და საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმების შემუშავების პროცედურებს, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
137. მნიშვნელოვნად იზრდება გარემოს ეროვნული სააგენტოს (NEA) როლი სტიქიის რისკფაქტორების (მათ შორის - ბუნებრივ ეკოსისტემებზე ანთროპოგენური ზეწოლის)

დადგენისა და რისკის მართვის გეგმების შემუშავების პროცესში. შესაბამისად, იქმნება NEA-ს მხრიდან დამატებითი ექსპერტული მომსახურების საჭიროება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვისას.

138. 2019 წლიდან გეოლოგიის დეპარტამენტის საქმიანობას დაემატა კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული პროექტის - „საქართველოში მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული შეტყობინების სისტემის (მსაშს) გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება“ - ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები, რომელთა მიხედვით მოხდება 11 მდინარის აუზის გეოლოგიური შეფასება და მომზადდება გეოლოგიური საფრთხეების (მენყერი, ღვარცოფი და სხვა) ზონირების რუკები. მსხვილ მენყერულ სხეულებზე გათვალისწინებულია ავტომატური მონიტორინგული სადგურების ინსტალირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გეოლოგიის დეპარტამენტში კიდევ უფრო იზრდება შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა, რაც მოითხოვს დამატებითი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მობილიზებას.
139. წარმოდგენილი რეკომენდაციების მიხედვით, მცირე საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივმა მიმართვამ კვლევის, კოორდინაციისა და მონიტორინგის მექანიზმის შესაქმნელად და გასაძლიერებლად, უნდა უზრუნველყოს DRR სისტემაში ლანდშაფტური მართვის პრინციპების დანერგვა და პრევენციის ხარჯის რაციონალური გადანაწილება, როგორც სტიქიის რისკის, ასევე სტიქიის ფორმირების ზონებზე; კერძოდ, კვლევის, კოორდინაციისა და მონიტორინგის საბიუჯეტო მხარდაჭერის შემთხვევაში, პრევენციული ღონისძიებების განმახორციელებელი სტრუქტურები შეინარჩუნებენ მანდატს და გააფართოებენ ოპერირების არეალს სტიქიის ფორმირების ზონებისკენ.
140. რეკომენდაციების შესასრულებლად, საჭიროა NEA-ს გაეზარდოს ყოველწლიური დაფინანსება ადამიანური რესურსების მობილიზაციისა და განვითარების მიზნით, რათა მან ერთი მხრივ, განახორციელოს მონიტორინგი მდინარეების მთელი აუზის მასშტაბით, მოამზადოს რისკის რუკები და შექმნას საფუძველი DRR გეგმებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, ითანამშრომლოს შესაბამის უწყებებთან პრევენციული ღონისძიებების პროექტების მომზადებისა და განხორციელების პროცესში.

## რეკომენდაციები

- i. გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს პასუხისმგებელი უწყებების ექსპერტული მხარდაჭერა / კონსულტირება DRR პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, რაც გულისხმობს:
  - a. ადგილობრივ თვითმმართველობებთან და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობას პრევენციული პროექტების მომზადებაში ადგილზე რისკფაქტორების იდენტიფიცირებისა და კომპლექსური ანალიზის საფუძველზე.
  - b. სატენდერე წინადადებების მომზადებისა და შემოთავაზებების ანალიზს და DRR პროექტების განხორციელების მონიტორინგს.
- ii. თავის მხრივ, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად, პრევენციული ღონისძიებების პროექტის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში, ითანამშრომლონ მდინარეთა აუზებზე არსებული სახელმწიფო მიწების და ბუნებრივი რესურსების მართვის უწყებებთან

(ეროვნული სატყეო სააგენტო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო), რათა პრევენციის ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობების გააზრება მოხდეს მდინარეთა აუზების მთელ პერიმეტრზე და არა – მხოლოდ მუნიციპალურ მიწებზე, ან ინფრასტრუქტურული ობიექტების სიახლოვეს.

- iii. ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უზრუნველყოს სტიქიური პროცესების რისკების ზონირება სატყეო ტერიტორიებზე. კერძოდ, სტიქიის ძირითადი მაპროვოცირებელი ფაქტორების მოდელირებით, დაზუსტდეს „ცხელი წერტილები“, სადაც აიკრძალება ჭრები სიღრმისეული ჰიდროლოგიური და გეოლოგიური კვლევების გარეშე. ასევე, შეიმუშაოს ტყის აღდგენის პროექტები და უზრუნველყოს პერსონალის შესაძლებლობების გაზრდა, რათა მათ შეძლონ ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესების ურთიერთქმედების შეფასება და მონაწილეობა ბუნებრივი საფრთხეებით/სტიქიური მოვლენებით გამოწვეული კატასტროფების მართვის პროცესში.
- iv. დამატებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობების და დარგობრივი უწყებების მიერ მკაცრად გაკონტროლდეს მდინარეთა კალაპოტებში და ტყის ფონდის ტერიტორიებზე მიწის რეგისტრაციის, მშენებლობის უფლების გაცემისა და უკანონო მშენებლობებზე მონიტორინგის განხორციელება.
- v. მდინარეებისა და ხევების კალაპოტები გასუფთავდეს საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენისაგან;

## მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვა

141. უკანასკნელ წლებში ნარჩენების მართვის სფეროში რიგი მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. 2014 წელს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს რიგ მოთხოვნებს ქვეყანაში ნარჩენების მართვის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვისთვის. 2015 წლის 15 იანვარს ქვეყანაში ძალაში შევიდა ნარჩენების მართვის კოდექსი, რომელიც ემყარება ასოცირების შესახებ შეთანხმებას და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავდა და 2016 წელს დამტკიცდა ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030), რომელიც აწესებს 15-წლიან მიზნებს და ამოცანებს და ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016-2020), რომელიც მოიცავს სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს. კოდექსის მოთხოვნების ნაწილი შესრულებულია, თუმცა მიზანშეწონილია, დადგენილ ვადებში დარჩენილი მოთხოვნების შესრულება და ქვეყანაში ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ამოქმედება.<sup>22</sup> თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სისტემის ჩამოსაყალიბებლად დამატებითი ღონისძიებების გატარება და შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყოფა საჭირო.

## ქირითაღი მიზნებაი

142. 2014 წლიდან ევროკავშირმა გები აიღო ცირკულარული ეკონომიკის დანერგვის მიმართულებით, მიდგომისა, რომელიც ხელს უწყობს პროდუქციისა და მასალების ღირებულების შენარჩუნებას მაქსიმალურად დიდი დროის განმავლობაში. წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა და რესურსების გამოყენება მინიმუმირებულია და პროდუქციის გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, მისი ახალი ღირებულების შესაქმნელად, იგი სხვა მიზნით გამოიყენება. ამ მიდგომის დასაწერგად ევროკავშირში შეიქმნა ე.წ. ცირკულარული ეკონომიკის პაკეტი / ნარჩენების ჩარჩო-ღირეტივა, რომლის დასაწერგად წევრმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმები. საქართველოში ამ დროისთვის არ არსებობს ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა ან საგზაო რუკა, რომელიც უზრუნველყოფდა ამ მიდგომების ეტაპობრივ დანერგვას ქვეყანაში.
143. კოდექსის მოთხოვნის თანახმად, 2019 წლის 1-ლი თებერვლიდან მუნიციპალიტეტებს უნდა დაეწყოთ მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, ხოლო 2019 წლის ბოლოს უნდა დანერგილიყო მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება სპეციფიკური ნარჩენებისთვის. ამავდროულად ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა აწესებს მუნიციპალური და სპეციფიკური ნარჩენების შეგროვებისა და რეციკლირების მინიმალურ მაჩვენებლებს, რომლებიც მოღწეული უნდა იყოს 2020, 2025 და 2030 წლებისთვის.
144. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში აწყო სეპარაციის სისტემები ცალკეულ რეგიონებში, მათ შორის აღსანიშნავია CENN/USAID ნარჩენების მართვის პროგრამა<sup>21</sup>, რომლის დახმარებითაც თბილისში, ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში ადგილობრივ მერიებთან თანამშრომლობით მოეწყო 47 ნარჩენის სეპარაციის სტენდი, სადაც მოსახლეობას შეუძლია ქალაქის, შუშის, PET ბოთლებისა და ალუმინის ნარჩენების განთავსება. საგულისხმოა, რომ ქვეყანაში მუნიციპალური ნარჩენების გადამამუშავებელი დაახლოებით 30 კომპანია ფუნქციონირებს.
145. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით შეიმუშავა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ნორმატიული აქტები 6 სახის სპეციფიკური ნარჩენისთვის: შეფუთვის ნარჩენები, ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენები, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენები, ნარჩენი ზეთები, საბურავების ნარჩენები, ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები. 2020 წლის 25 მაისს 4 კანონქვემდებარე აქტი (ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ, ნარჩენი ზეთების მართვის შესახებ, საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ) დამტკიცდა მთავრობის მიერ, თუმცა 2 კანონქვემდებარე აქტის (შეფუთვის ნარჩენები, ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები) დამტკიცება ჯერ არ მომხდარა და სისტემაც არ დანერგილა.

<sup>21</sup> პროგრამა ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში, რომელსაც CENN, USAID ფინანსური მხარდაჭერით 2014-2020 წლებში ახორციელებდა.



146. საქართველოში 34 მოქმედი მუნიციპალური ნაგავსაყრელია<sup>22</sup>. ქ. თბილისის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაგავსაყრელების გარდა, მათ მართავს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, რომელმაც ჩაატარა ნაგავსაყრელების კეთილმოწყობის სამუშაოები და შესაბამისი სტანდარტებით დახურა ნაგავსაყრელების ნაწილი. გამომდინარე იქიდან, რომ არსებული ნაგავსაყრელები ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს, იგეგმება მათი დახურვაც და რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების მშენებლობა. ამისთვის მოზიდული იქნა თანხები საფინანსო ინსტიტუტებიდან (EBRD, KfW) და დაიწყო რეგიონებში შესაბამისი პროექტების განხორციელება. თუმცა ნაგავსაყრელების მშენებლობის პროცესები შეფერხებულია სხვადასხვა მიზეზით და საჭიროა ქმედითი ზომების გატარება დაგეგმილი პროექტების განსახორციელებლად. ქალაქ თბილისში ნაგავსაყრელის რეაბილიტაცია იგეგმება EBRD-ის ფინანსური დახმარებით. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ნაგავსაყრელის მშენებლობის პროექტი ასევე EBRD-ის დაფინანსებით მიმდინარეობს. აღსანიშნავია ასევე სამშენებლო ნარჩენების ოფიციალური ნაგავსაყრელების არარსებობით შექმნილი გამოწვევები, რაც მუნიციპალიტეტების პრეროგატივაა და დროულად გადაჭრას საჭიროებს.
147. მათივე კომპეტენციაა სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია, რაც, ნარჩენების ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, 2020 წლისთვის იყო დაგეგმილი. თუმცა ჯერ კიდევ თითქმის ყველა დასახლებაში გვხვდება ერთი ან მეტი სტიქიური ნაგავსაყრელი. ხშირ შემთხვევაში ისინი განთავსებულია მდინარეების ნაპირებზე ან მოსახლეობასთან ახლოს და შესაბამისად, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს.
148. კოდექსი აწესებს ჯარიმას ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევაში. დაჯარიმება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე საპატრულო პოლიციის, მუნიციპალიტეტის და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის პრეროგატივაა. თუმცა კოდექსის ამ მოთხოვნის აღსრულება არაეფექტიანად ხდება (ქ. თბილისისა და ბათუმის გარდა) - დაჯარიმების ფაქტებს ადგილი თითქმის არ აქვს. მუნიციპალიტეტები ამის მიზეზად შესაბამისი კადრების და აღჭურვილობის უქონლობას ასახელებენ.
149. კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად, ყველა მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმები. დოკუმენტები ხშირ შემთხვევაში ზოგად ხასიათს ატარებს, მათში არ არის მკაფიოდ განწერილი სამოქმედო გეგმის ნაწილი და თანხები, რომლებიც საჭიროა გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესასრულებლად. არ ხდება გეგმაში განწერილი საქმიანობების შესრულების მონიტორინგიც. მუნიციპალიტეტები ამ კომპონენტშიც განიცდიან კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. ამავდროულად არ ხდება სათანადო კომუნიკაცია და კოორდინაცია ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელ ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ მთავრობებს შორის.
150. ქვეყანაში გაუმჯობესებულია ნარჩენების შეგროვების სისტემა. ამ მიზნით, 2015-2019 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დახმარება გაუწია მუნიციპალიტეტებს და გადასცა 157 ერთეული ნარჩენების შესაგროვებელი სპეცტექნიკა და ნარჩენების შესაგროვებელი 21 ათასი ურნა. ამას გარდა, სამინისტრო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტების მიერ საკუთარი უფლებამოსილების, კერძოდ მუნიციპალური ნარჩენების მართვისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების

<sup>22</sup> დახურული ნაგავსაყრელების ჩათვლით სულ ქვეყნის მასშტაბით 56 ნაგავსაყრელია, საიდანაც 54-ს მართავს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

დასუფთავების სერვისის შესრულების მართვის სისტემის დანერგვაზე, რომელიც მათ შორის დაეყრდნობა არსებული ვითარების კვლევასა და შეფასებას. თუმცა დაფარვის არეალის გასაზრდელად მუნიციპალიტეტები საჭიროებენ დამატებითი ტექნიკის შეძენას, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, მის განახლებას. ამავდროულად, ხშირად მუნიციპალიტეტებში არსებული ნარჩენების შეგროვების სისტემა არაოპტიმალურია, რაც გულისხმობს ურნების არახელსაყრელ განლაგებას და ნაგავმზიდის არახელსაყრელ მარშრუტს. ყოველივე ეს ზრდის ნარჩენების შეგროვების ხარჯებს და ამცირებს პროცესის ეფექტიანობას.

151. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ნარჩენების მართვის სექტორის დაფინანსება უნდა ხდებოდეს მოსახლეობის, სამრეწველო და კომერციული ობიექტების მიერ გადახდილი მოსაკრებლით (ტარიფი). ამისათვის კი საჭიროა, რომ ტარიფი სწორად იყოს დაანგარიშებული და მისი ამოღება ხდებოდეს ეფექტიანად. საქართველოში ნარჩენების მომსახურების ტარიფის ოდენობის დადგენა მუნიციპალიტეტების პერეოგატივია, რომელიც თვეში ერთ სულ მოსახლეზე მუნიციპალიტეტების მიხედვით 0.15-დან 2.5 ლარამდე მერყეობს. დაწესებული ტარიფები დაუსაბუთებელია და არ ითვალისწინებს ნარჩენების მართვისთვის საჭირო რეალურ ხარჯებს. შედეგად, ნარჩენების მართვის ღირებულების უდიდესი ნაწილი სუბსიდირებულია მუნიციპალიტეტების მიერ.
152. დღესდღეობით საზოგადოება არ არის სათანადოდ ინფორმირებული ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომებზე, მათ მნიშვნელობასა და სარგებელზე, როგორც გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ასევე ქვეყნის მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისთვის. ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები ტარდება დონორების მიერ დაფინანსებული ცალკეული პროექტების ფარგლებში. ამ მიმართულებით მუშაობს ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. მსგავსი ღონისძიებები არ არის მასშტაბური და არ აქვს სისტემური ხასიათი და თემატური თუ გეოგრაფიული დაფარვა.

## რეკომენდაციები

### გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- i. მიზანშეწონილია, მოხდეს ნარჩენების მართვის 2016–2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასება და მის საფუძველზე შემუშავდეს 2021-2025 წლების დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის (2016-2030) მიზნების შესაბამისი ღონისძიებები და მათი სავარაუდო ბიუჯეტი;
- ii. ნარჩენების მართვის კოდექსის, ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, შესამუშავებელია ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის სტრატეგია, სახიფათო ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა, დასამტკიცებელია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების 2 კანონქვემდებარე აქტი,<sup>23</sup> მისაღწევია ნარჩენების შეგროვების, რეციკლირებისა და სპეფიციკური ნარჩენების მართვის მინიმალური მაჩვენებლები. ამავდროულად საჭიროა კოდექსით და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების (ამოცანები, ღონისძიებები, ინდიკატორები. ა.შ.) შესრულების მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- iii. ვინაიდან საქართველო მიისწრაფვის ევროინტეგრაციისკენ და იზიარებს ნარჩენების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვის აუცილებლობას, საჭიროა ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმის / საგზაო რუკის შემუშავება და ამ მიდგომების ეტაპობრივი

<sup>23</sup> გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა 6 კანონქვემდებარე აქტი. 4 კანონქვემდებარე აქტი დამტკიცებული იქნა 2020 წლის 25 მაისს.

დანერგვა ქვეყანაში. აღნიშნული გეგმა ასევე შესაძლოა გახდეს ნარჩენების მართვის 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმის ნაწილიც და შესაბამისი ცვლილებები აისახოს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიაში;

- iv.** ფინანსურ უზრუნველყოფას მოითხოვს ქვეყანაში მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის აწყობა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემის დანერგვა. ამავდროულად საჭიროა ნარჩენების მართვის პროცესში კერძო სექტორის ჩართულობის ნახალისება და შესაბამისად, საჯარო-კერძო პარტნიორობის (Public-Private Partnership) ინიციატივების ხელშეწყობა;
- v.** რეკომენდებულია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად, 2021–2024 წლებში დასრულდეს რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობა და არსებული ოფიციალური, მაგრამ უნებართვო ნაგავსაყრელების დახურვა / ტერიტორიის რემედიაცია, ასევე გადაწყდეს სამშენებლო ნაგავსაყრელების საკითხიც. პარალელურად, უნდა განხორციელდეს სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია და მათი დახურვა / რემედიაცია სტანდარტების დაცვით. ასევე, გარემოში ნარჩენების უკანონო განთავსების შემთხვევაში დაჯარიმების ეფექტიანი სისტემის ამოქმედება;
- vi.** მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის სისტემების დაგეგმვისა და განხორციელების მხრივ. მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ მათ მიერ შემუშავებული ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმების განახლება და გეგმაში განერილი საქმიანობების განხორციელება. პროცესის მონიტორინგისთვის საჭიროა ეროვნული სისტემის შექმნა და კოორდინაციის გაუმჯობესება ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელ ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ უწყებებს შორის;
- vii.** რეკომენდებულია მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ნარჩენების შეგროვება-გატანისთვის საჭირო ტექნიკის განახლება-შეძენის მიმართულებით;
- viii.** დარგის მდგრადი განვითარებისთვის სასიცოცხლოა ქვეყანაში ნარჩენების ხარჯების ამოღების ერთიანი პოლიტიკის შექმნა ცენტრალურ დონეზე, რაც მოიცავს ნარჩენების მართვის ტარიფის გამოთვლის თანამედროვე მეთოდოლოგიის დამტკიცებასა და დანერგვას მუნიციპალიტეტებში. ამ მიზნით, თვითმმართველობებმა უნდა უზრუნველყონ ახალი ტარიფების შემუშავება, რეალური ხარჯებისა და საერვისების გაუმჯობესების გათვალისწინებით, ხოლო შესაბამისმა სამინისტროებმა (ფინანსთა; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის) დახმარება გაუწიონ მუნიციპალიტეტებს (მეთოდოლოგიების მიწოდება, კონსულტაციები, ტრენინგები და სხვ.) და მოამზადონ წინადადებები პოლიტიკური გადაწყვეტილებებისთვის;
- ix.** შესაბამისი უწყებების მიერ უნდა გაფართოვდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რაც გულისხმობს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, საინფორმაციო კამპანიების განხორციელებას, ტრენინგებისა და დისკუსიების მოწყობას და მედიამხარდაჭერის უზრუნველყოფას.

## კანონი აკვაკულტურის შესახებ

153. აკვაკულტურის შესახებ საქართველოს კანონი არის მნიშვნელოვანი სტიმული აკვაკულტურის წარმოებით დაინტერესებული პირებისთვის, გამოიყენონ, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე, სახელმწიფო საკუთრების წყლის ობიექტები, რაც მათ შემოსავალს მოუტანს. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს დასაქმების ზრდას, სახელმწიფო ბიუჯეტში - საშემოსავლო და მოგების გადასახადის, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში ქონების გადასახადის გადახდას და ამ მხრივ - საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

### ძირითადი მიზნობები

154. კანონს აქვს ფინანსური გავლენა დაინტერესებულ პირებზე. წყალსატევებზე თევზჭერის განმახორციელებლებს შეეზღუდებათ თევზჭერის უფლება ნებართვის გარეშე, ხოლო აკვაკულტურის წარმოებით დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ კერძო ან სახელმწიფო საკუთრების წყლის ობიექტებზე განავითარონ აკვაკულტურის საქმიანობა, რაც მათ შემოსავალს მოუტანს. დღეისთვის არ არსებობს საზღვაო წყლებში თევზჭერის ნებართვების გაცემის სისტემა და რეგულაციების არარსებობის პირობებში მხოლოდ ერთი ასეთი ფერმა ფუნქციონირებს.
155. კანონი გულისხმობს დღეს არსებული თევზჭერის ლიცენზიების გაცემის არაეფექტიანი პრაქტიკის ჩანაცვლებას ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვებით, რომელიც გაიცემა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე. ასევე იგეგმება საზღვაო წყლებში აკვაკულტურის ზონების შექმნა, სადაც საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით მოხდება თევზის მეურნეობის კონსტრუქციის განთავსება და საზღვაო გარემოს მკაცრი მონიტორინგი.
156. ვინაიდან კანონი ძალაში შედის 2021 წლიდან, მას გავლენა ექნება 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯით ნაწილზე. 2024 წლიდან ასევე ამოქმედდება აკვაკულტურის სანებართვო მოსაკრებელი, რაც ასევე გავლენას იქონიებს საბიუჯეტო შემოსავლებზე.

### რეკომენდაციები

#### გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

- i. დაემატოს 8 საშტატო ერთეული. აღნიშნული საშტატო ერთეულების შრომის ანაზღაურებისა და აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 196,720 ლარის გამოყოფა. აქედან შრომის ანაზღაურებისთვის საჭიროა 111,600 ლარი;
- ii. 2021 წელს სხვა ხარჯებისთვის (აღჭურვილობა და სხვა საჭირო ინვენტარი)- 32,800 ლარი, ხოლო მომსახურების ხარჯები - 52,320 ლარი. მისი ერთჯერადი ხასიათის გათვალისწინებით, 2022-2024 წლებისთვის სხვა ხარჯების თანხა საჭირო აღარ იქნება;
- iii. 2022-2024 წლების საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით ნაწილში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის საჭირო იქნება 163,920 ლარის გათვალისწინება;

- iv. დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს თევზსაშენ მეურნეობებში მოხმარებული წყლის მექანიკური და ბიოლოგიური ფილტრების პრაქტიკის დანერგვის მონიტორინგი, რაც მნიშვნელოვანი პირობაა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისთვის.

#### **გარემოს ეროვნული სააგენტო**

- i. დაემატოს 5 საშტატო ერთეული, რომლისთვისაც დამატებით შრომის ანაზღაურების სახით საჭირო იქნება 123,600 ლარის გამოყოფა ყოველწლიურად გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტიდან. აღნიშნული თანხიდან საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში გადახდილი იქნება 24,720 ლარი;
- ii. 2021 წელს სხვა ხარჯებისთვის (აღჭურვილობა და სხვა საჭირო ინვენტარი) გამოიყოს 9,000 ლარი. მისი ერთჯერადი აუცილებლობის გათვალისწინებით, 2022-2024 წლებისთვის სხვა ხარჯების თანხა საჭირო აღარ იქნება;
- iii. 2022-2024 წლების საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით ნაწილში გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის საჭირო იქნება 123,600 ლარის გათვალისწინება.

#### **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

- i. აკვაპონიკის სასათბურე მეურნეობების მოწყობის წახალისება, რის შედეგადაც გაიფილტრება თევზსაშენი მეურნეობიდან გამდინარე წყალი ორგანული ნარჩენებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებელი გახდება მცენარეული კულტურების წარმოება მინიმალური დანახარჯებით (აღნიშნული წყალი შეიცავს საკმაოდ ბევრ ორგანულ ნივთიერებას, რომელთა გამოყენებაც მემცენარეობაში შეიძლება).

## **საქართველოს ტყის კოდექსი**

- 157. 2020 წლის 22 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა საქართველოს ტყის კოდექსი. დოკუმენტი ფარავს სატყეო სექტორის რეფორმის ყველა მნიშვნელოვან ნაწილს და ამკვიდრებს ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს. მისი მთავარი მიზანია მდგრადი და მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის დამკვიდრება, ტყის ეკოსისტემების შენარჩუნება და სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის გონივრული გამოყენება.

## ქირითაღი მიზნებაი

158. ტყის კოდექსს შემოაქვს რეფორმატორული ხასიათის ცვლილებები, როგორც გარემოს დაცვის, ასევე ეკონომიკის, ენერგეტიკისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით. კერძოდ:

- იზრდება სატყეო მეურნეობების მასშტაბი, წესრიგდება ინფრასტრუქტურა და ეწყობა საქმიანი ეზოები, რაც მოქალაქეებს უმარტივებს წვდომას საშეშე და სამასალე მერქანზე;
- ტყის არამერქნული პროდუქტების პირადი სარგებლობა ხორციელდება უსასყიდლოდ და ამასთანავე, ინერგება კომერციული სარგებლობის პრაქტიკა, რაც, საქმიან ეზოებთან ერთად, ზრდის ლეგალურ სამუშაო ადგილებს, ავითარებს ადგილობრივ წარმოებას და აისახება სოფლად მცხოვრებ პირთა შემოსავლებზე;
- ხელი ეწყობა ბიომასის წარმოებას, რაც წაახალისებს ენერგოეფექტიანობას;
- ინერგება ტყეების კატეგორიზაცია ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, რაც ზრდის ტყეების რეკრეაციულ-კურორტოლოგიურ პოტენციალს, ვითარდება ეკოტურიზმი;
- მკვიდრდება საერთაშორისო სტანდარტებთან და ტექნოლოგიებთან შესაბამისი აღრიცხვის, ინფორმაციის განახლებისა და გეგმური მართვის სისტემა, რაც ქმნის სწორი სტრატეგიული და ლოკალური გადანყვეტილებების მიღების საფუძველს;
- ტყის მართვაში სავალდებულო ხდება მეტყევისა და სატყეო საქმის სპეციალისტების მონაწილეობა (არანაკლებ 1 მეტყევე – არაუმეტეს 3500 ჰა-ზე);
- იქმნება პირობები ტყის ეკოსისტემების დაცვის, აღდგენის, მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლისა და ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების ეფექტიანად განხორციელებისთვის.

კოდექსით გათვალისწინებული სისტემური ცვლილებები დაკავშირებულია ახალ ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიხედვით უნდა განხორციელდეს ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მომზადებული საბიუჯეტო გეგმის კორექტირება.

## რეკომენდაციები

- i. 2021–2024 წლებში ტყის მართვის ორგანოებისთვის უმნიშვნელოვანესია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და შესაძლებლობების გაძლიერება. ჩვენ მიერ შემოთავაზებული საბიუჯეტო ცვლილებები ტყის კოდექსის განხორციელების აუცილებელი პირობაა.
- ii. ამ მიზნით, რეკომენდებულია MEPA-ს მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც სატყეო მეურნეობების ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას ითვალისწინებს და 2021 წლისთვის 10.9 მილიონ ლარს შეადგენს.
- iii. დამატებით, 2021 წლიდან საჭიროა ფინანსების გამოყოფა ტყის კოდექსით გათვალისწინებული მეტყევეთა სავალდებულო რაოდენობის უზრუნველყოფის შესახებ.

# მწვანე ბიუჯეტის გენდერული განზომილება

159. გენდერული ბიუჯეტირების მექანიზმები მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის, საქართველომაც დანერგა. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2018-2020 წლის სამოქმედო გეგმის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა შეიმუშავა გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი<sup>24</sup> და განახორციელა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი<sup>25</sup>. დოკუმენტის მიხედვით, 9 საბიუჯეტო პროგრამა მიიჩნევა „არსებითად მაღალი გენდერული მნიშვნელოვნების მქონედ“, ხოლო 17 პროგრამა - „მაღალი გენდერული მნიშვნელოვნების მქონედ“. სამწუხაროდ, მათში არ შედის არცერთი პროგრამა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის მე-10 (სოფლის მეურნეობა) და მე-12 (გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა) პრიორიტეტებს შეესაბამება.
160. ამის საპირისპიროდ, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) ადგენს მკაფიო ურთიერთკავშირს გენდერულ და გარემოსდაცვით საკითხებს შორის. გარემოს დაცვა ინტეგრირებულია გენდერული თანასწორობის მიზანში (SDG 5). თავის მხრივ, გენდერული თვალსაზრისით მკაფიო მითითებებს მოიცავს მწვანე ბიუჯეტის თემატიკასთან პირდაპირ კავშირში მყოფი მიზნები<sup>26</sup>. მაგალითად, მე-6 მიზნის მე-2 ამოცანა გულისხმობს „საგანგებო ყურადღების მიპყრობას ქალებისა და გოგონების საჭიროებებისათვის“<sup>27</sup>, ხოლო გენდერის თანასწორობის დღის წესრიგში გააზრებულია ის ფაქტი, რომ ბუნებრივი კატასტროფების მიზეზით სიკვდილიანობა 14-ჯერ უფრო მაღალია ქალებისა და ბავშვებისთვის, კაცებთან შედარებით.<sup>28</sup>
161. გენდერზე განსაკუთრებული აქცენტები კეთდება საერთაშორისო გარემოსდაცვით შეთანხმებებში. გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ (UNFCCC) აღიარებს, რომ კლიმატის ცვლილებას განსაკუთრებული გავლენა აქვს ქალებზე, რადგან ისინი მეტად არიან დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე, მეტად მოწყვლადები არიან ბუნებრივი კატასტროფების მიმართ და შეადგენენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის უმრავლესობას. პარიზის შეთანხმება შეიცავს კონკრეტულ მითითებებს გენდერულად მგრძობიარე მიდგომების აუცილებლობაზე ადაპტაციის მოქმედებებში.<sup>29</sup> ორჰუსის კონვენციისთვის შექმნილია სპეციალური გენდერული სახელმძღვანელო, სადაც გამოკვეთილია არსებითი კავშირები გარემოსდაცვით უსაფრთხოებასა და გენდერს შორის.<sup>30</sup>

<sup>24</sup> 2019. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულ ქრილში

<sup>25</sup> 2019. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი

<sup>26</sup> მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია, მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება, მიზანი 13 - კლიმატის მდგრადობის მიღწევა, მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები

<sup>27</sup> <http://sdg.gov.ge/goals-details-inner/6>

<sup>28</sup> 2018. UN Women. Gender Equality in the 2030 Agenda for Sustainable Development

<sup>29</sup> 2015. პარიზის შეთანხმება. შესავალი, მუხლი 7:5, 11:2

<sup>30</sup> 2012. Gender Mainstreaming in Aarhus Activities: A guideline for practitioners

162. ანალოგიურად, მკაფიო გარემოსდაცვითი აქცენტებია გაკეთებული გენდერული თანასწორობის საერთაშორისო ინსტრუმენტებშიც. პეკინის პლატფორმის სტრატეგიული მიზნები სახელმწიფოებს მოუწოდებს, აქტიურად ჩართონ ქალები გარემოსდაცვითი გადამწყვეტილებების მიღებაში ყველა დონეზე; შეიტანონ გენდერული თანასწორობის საკითხები მდგრადი განვითარების პერსპექტივებში, პოლიტიკებსა და პროგრამებში; გააძლიერონ და შექმნან მექანიზმები ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე განვითარების და გარემოსდაცვითი პოლიტიკების ქალებზე გავლენის შესაფასებლად.<sup>31</sup>
163. საერთაშორისო პრინციპების დანერგვა, პირველ რიგში, გულისხმობს გენდერულ თანასწორობაზე მოსალოდნელი გავლენის გათვალისწინებას დარგობრივი პროგრამების შემუშავების და განხორციელების პროცესში და შესაბამისი ხარჯების განერას ბიუჯეტში.
164. გარემოსდაცვითი საკანონმდებლო და სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ გენდერული თანასწორობის მიდგომა ზედაპირულია და რიგ შემთხვევებში, არ მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს, ან მათი შესრულების ინდიკატორებს. მაგალითად, 2015-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს ქალების კოოპერატივებში გაერთიანების ხელშეწყობას, თუმცა, იგივე არ ჩანს კოოპერატივების შესახებ კანონში. წარმატებულ მაგალითად უნდა შეფასდეს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის განხორციელების გეგმით განსაზღვრული ამოცანა 70 საბავშვო ბაღის აშენების შესახებ. აღნიშნული პროგრამა პასუხობს სტრატეგიულ მიზანს ქალთა დასაქმების ხელშეწყობის შესახებ და ქმნის პირობას, ქალებმა შეძლონ მუშაობა და გახდნენ ეკონომიკურად აქტიურები.
165. საქართველოში დანერგილია გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირების ინსტიტუტი სამინისტროებში და ადგილობრივ თვითმმართველობებში, მათ შორის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებობს გენდერული თანასწორობის ოფიცერი, რომელიც ამ მოვალეობებს უთავსებს სხვა, მანამდე არსებულ სამუშაოს, რაშიც, დამატებით ხელფასს არ იღებს. ასევე, არასათანდო რესურსი იხარჯება გენდერული თანასწორობის ოფიცრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც, ბუნებრივია, აისახება მათი საქმიანობის ხარისხზე.
166. საქსტატის მონაცემებით, საქართველოში ქალების დასაქმების დონე მნიშვნელოვნად მცირეა, ვიდრე კაცების.<sup>32</sup> ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი ბიზნეს აქტივობებში. კვლევები აჩვენებს, რომ ქალების ეკონომიკური მონაწილეობის დამაბრკოლებელი ფაქტორია ნაკლები ხელმისაწვდომობა კრედიტებზე და სხვა აქტივებზე.<sup>33</sup> ქალებამდე ვერ აღწევს ფერმერებისათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება.<sup>34</sup> საქსტატის მონაცემებით, გოგონები და ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის პროფესიებსა და შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში.<sup>35</sup>
167. მნიშვნელოვანი გენდერული გავლენა აქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის სისტემებს. ამჟამად არაუარსებულ დასახლებებში ნარჩენებისათვის განკუთვნილი ურნები ხშირად 2-3 ან მეტი კილომეტრის მანძილზეა საცხოვრებელი ადგილიდან. შესაბამისად, არსებული სისტემა მძიმე მდგომარეობაში აყენებს სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილს, ვინც არ ფლობს საკუთარ სატრანსპორტო საშუალებას, ხოლო ასეთებს ძირითადად

<sup>31</sup> 2019. Georgia, National-level Review of the Implementation of the BPfA Beijing +25

<sup>32</sup> 2018. საქსტატი. სამუშაო ძალის გამოკვლევა

<sup>33</sup> 2020. UN Women office in Georgia. Country gender equality profile of Georgia

<sup>34</sup> 2018. UN Women, SDC, ADC. სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება

<sup>35</sup> საქსტატი. სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში



წარმოადგენენ ქალები. ნარჩენების მართვის 2016-2030 სტრატეგიაში არაა ნათლად გამოკვეთილი გენდერული თანასწორობის ამოცანა და შემოიფარგლება რეკომენდაციით, ქალთა გაძლიერების აქტივობები გაიწეროს ნარჩენების მართვის გეგმებში<sup>36</sup>.

168. სოფლის მოსახლეობა სარგებლობს შუშის დამზადების სოციალური სისტემით, რომლის გამოყენებაც პრობლემურია შინამეურნეობებისთვის – ოჯახის უფროსი ქალებით. არამერქნულ რესურსებს (სოკო, კენკრა) ძირითადად ღარიბი და ასაკოვანი ქალები აგროვებენ. ეს საქმიანობა, გარემოს დეგრადაციის პირობებში, მათგან მეტ დროს და ძალისხმევას მოითხოვს. ამასთან, ადგილობრივ მოსახლეობას და, განსაკუთრებით, ქალებს, ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი შეგროვებისა და გადამუშავების ცოდნა აკლიათ<sup>37</sup>.
169. 2017-2020 კატასტროფების რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა გარკვეულწილად ითვალისწინებს ქალების განსაკუთრებულ საჭიროებებს (მაგ. ფეხმძიმე ქალებისათვის) და თვლის, რომ საჭიროა მათი ჩართვა კატასტროფების მართვის პროცესებში. თუმცა, სამოქმედო გეგმაში ამ მიმართულებით რაიმე აქტივობა არაა დაგეგმილი.<sup>38</sup>
170. საჯარო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა თუ მისი ნაკლებობა განსაკუთრებით აისახება სოფლის ღარიბ მოსახლეობაზე, რომელიც არ ფლობს ინდივიდუალურ ავტოსატრანსპორტო საშუალებას. ასეთი მოსახლეობის უმრავლესობას კი ქალები შეადგენენ.

## რეკომენდაციები

### საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო და საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

- i. უზრუნველყოს გენდერული და გარემოსდაცვითი საკითხების მჭიდრო ურთიერთკავშირის გათვალისწინება ბიუჯეტის გენდერულ ანალიზში და მის საფუძველზე დაგეგმილ ღონისძიებებში
- ii. სათანადო უწყებებთან თანამშრომლობით გადასინჯოს გარემოსდაცვითი საკანონმდებლო და სტრატეგიული დოკუმენტები გენდერული თანასწორობის პერსპექტივის უფრო ღრმად ინტეგრაციისთვის
- iii. გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში არატექნიკური ხასიათის საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებისას, ისევე როგორ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისა და მათში ცვლილებების შეტანის პროცესში, უზრუნველყოფილი იყოს ცვლილებების გენდერული ზეგავლენის შეფასების ანალიზის მომზადება და მასში გათვალისწინებული რეკომენდაციების ასახვა
- iv. სათანადო უწყებებთან თანამშრომლობით, დახვეწოს გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვების ერთიანი, გაზიარებული სისტემა

<sup>36</sup> 2017. CENN, USAID. Waste Management Technology in Regions, Phase II (WMTR II). Gender Strategy

<sup>37</sup> 2019. CENN, ADC. Final Baseline Study Report – Promoting Sustainable Forest Management for Climate Resilient Rural Development in Georgia

<sup>38</sup> 2020. UN Women office in Georgia. Country gender equality profile of Georgia

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

- i.** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად, შექმნას გენდერული თანასწორობის დაცვისა და წახალისების მექანიზმები ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებში
- ii.** შეიმუშაოს ხელმისაწვდომობის მექანიზმები ქალებისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე მიმართულ ძალისხმევაში, მაგალითად, საქმიანი ეზოებისა და დანიშნულების მართვის ორგანიზაციების (DMO) დაარსებისას
- iii.** გაითვალისწინოს ქალების და მამაკაცების განსხვავებული საჭიროებები და ცალკე დაგეგმოს ქალთა ჩართულობის წამახალისებელი გზები ფერმერებისათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდების პროგრამებში
- iv.** ადგილობრივ თვითმმართველობებთან ერთად – საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის რეფორმის დაგეგმვა და განხორციელება დააფუძნოს ქალებზე ზეგავლენის შეფასებაზე და ამ მიზნით, ბიუჯეტირების პროცესში გაითვალისწინოს ხარჯები შესაბამისი კვლევებისთვის
- v.** უზრუნველყოს სოფლად მცხოვრებ ქალებზე გავლენების შეფასება ტყის რეფორმის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში. აქცენტი გაკეთდეს ტყის მერქნული და არამერქნული რესურსების ხელმისაწვდომობაზე ქალებისთვის. მაგალითად, შეფასდეს, რა გავლენა ექნება საქმიანი ეზოების პროექტს ქალებისა და ღარიბი მოსახლეობისთვის, რომლებიც არ ფლობენ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს
- vi.** სენდაის ჩარჩოს შესაბამისად, უზრუნველყოს მონაცემების გენდერული ანალიზი კატასტროფების ქალებზე და გოგონებზე განსხვავებული გავლენის დასადგენად, მათი მოწყვლადობის შეფასებისათვის
- vii.** საქართველოს პარლამენტთან ერთად განახორციელოს გარემოსდაცვითი საკანონმდებლო და სტრატეგიული დოკუმენტების გადასინჯვა გენდერული საკითხების ინტეგრაციის მიზნით
- viii.** გარემოსდაცვითი კამპანიები დაგეგმოს იმის გათვალისწინებით, თუ რა დამატებითი გზები საჭირო ქალთა ინფორმირებისათვის

## **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო**

- i.** გაატაროს სპეციალური ღონისძიებები სოფლის მეურნეობის პროფესიებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში ქალების ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით

## **საქართველოს მთავრობა**

- i.** სამინისტროების ბიუჯეტირების პროცესში გაითვალისწინოს გენდერული თანასწორობისთვის პასუხისმგებელი პირის/პირების ანაზღაურება და გენდერულ თანასწორობაზე მიმართული საქმიანობების დაფინანსება
- ii.** უზრუნველყოს რელევანტური სამინისტროების, სააგენტოების და სამსახურების კოორდინირებული მუშაობა სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის პროცესში. მაგალითად, თვითმმართველობების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ კოორდინირებულად განხორციელდეს სოციალური მონყვლადობის გენდერულად სეგრეგირებული შეფასება
- iii.** მნიშვნელოვანია, თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, საჯარო ტრანსპორტის სისტემის რეფორმების დაგეგმვა და განხორციელება ქალებზე მოსალოდნელი გავლენის გათვალისწინებით. მწვანე ბიუჯეტირება უნდა მოიცავდეს ფინანსების უზრუნველყოფას ასეთი გავლენების შეფასების და საჯარო ტრანსპორტის სისტემაში შესაბამისი რეფორმების განსახორციელებლად.

